



გამოდის 1993 წლის მარტიდან
2000 წლის მარტიდან გამოდის თვეში ორჯერ

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:

WWW.opentext.ge/menora

მენორა

מנורה

გერაული გაზეთი
საქართველოში
MENORA
JEWISH NEWSPAPER
IN GEORGIA

“מנורה”
עיתון יהודי
בגוריה

“МЕНОРА”
ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА
В ГРУЗИИ

მარტი
(აღარი)
1-15
№5 (245)
(5767 ფილი)
2007 წელი
ფასი 50 თეთრი

ისრაელის ელჩი საქართველოში შაბთაი ცური თავისუფალ სკოლა-ბაღს ეწვია

7 მარტს ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში შაბთაი ცური და საელჩოს პირველი მდივანი მეირა საგი ვალდორფის თავისუფალ სკოლა-ბაღს ეწვივნენ. შეხვედრას აგრეთვე ესწრებოდნენ ქართველ ებრაელთა მსოფლიო კონგრესის თანათავმჯდომარე, ბატონი გურამ ბათიაშვილი და „მსოფლიოს ქართველ და ებრაელ ქალთა ასოციაცია საქართველოში“-ს წარმომადგენლები ქალბატონები ევა ხუნაშვილი, ნათელა პატარავაციშვილი და ციალა ბათიაშვილი.

როგორც სკოლის დამფუძნებელმა ლევან ხელაიამ აღნიშნა, ამ ტიპის პირველი სკოლა გერმანიაში დაარსდა და საქართველოში ერთადერთია, ხოლო თელ-ავივში რამდენიმე მსგავსი სკოლა არსებობს.

ისრაელის ელჩმა საქართველოში შაბთაი ცურმა აღნიშნა, რომ „უკვე მიღებული ცოდნის გაღრმავებისა და მომავალში სწავლების დონის კიდევ უფრო ამაღლების მიზნით მნიშვნელოვანი იქნებოდა, თელ-ავივში არსებულ ვალდორფის სკოლებთან კავშირების დამყარება. ალბათ ეს ის საკითხია, რომელიც არა მხოლოდ ორი სკოლისა და მათი მოსწავლეების, არამედ ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების უფრო მეტად დაახლოებას შეუწყობს ხელს“.

შეხვედრამ თბილ და სასიამოვნო ატმოსფეროში ჩაიარა. საელჩოს სახელით ბატონმა შაბთაი ცურმა სკოლის მოსწავლეებს წიგნები გადასცა, ქალთა ასოციაციამ სკოლას ქართულ ენაზე გამოცემული „თორა“ უსახსოვრა.



იცხაკ დაუილის კვლევა, რომელიც ქართველ ებრაელთა ყოფას ნათელს ჰფენს



II გვ.

გრძნობა მამულის მოვლისა

„იმ ეშქახეს, იერუშალაიმ“ –
განხილვები, შეხვედრები
ისრაელში



III გვ.

ფურიმი ბავშვების დღესასწაული, ფურიმი
მოზრდილთა დღესასწაული, ფურიმი –
საყოველთაო დღესასწაული.

ებრაელები ფურიმის შემდეგ
ფესახისათვის ვემზადებით



IV გვ.

ათხაზეთიდან ლტოლვილებზე ებრაულ სახლშიც ზრუნავენ



V გვ.

სიონისაკან განუყოფელი რაბინის
– ისრაელ ბაზალიკაშვილის
ოჯახის ცხოვრება



VI გვ.

ძველი აღთქმის რომელ თავს უკითხუ-
ლობთ ამ კვირაში?

საქართველოს მთავარი რაბინის
არიელ ლევინის რუბრიკა



ჩინებული მეცნიერის ლეილა თეთრუაშ-
ვილის ხსოვნას

VII გვ.

საქართველოს მკვლევართა სულიერი მემკვიდრეობა

იხსნა ღაწილი

მოყოლებული მე-18 საუკუნის ბოლოდან ქართველ ებრაელთა სასულიერო კულტურა პარალელურად ვითარდება ერთი მხრივ საქართველოში, მეორეს მხრივ ერეც-ისრაელში. გაეხსენოთ ი. ჩორნის ცნობა ახალციხე-დიკვირიდან ქართველი ებრაელი რაბინის გამგზავრების შესახებ პალესტინაში 1780-იან წლებში. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ ქართველი ებრაელები ადრეც ჩადიდნენ პალესტინაში და ფაქტიურად მათ არც გაუწყვეტიათ კავშირი წმინდა მიწასთან და მის ოთხ ძირითად ქალაქთან: იერუსალიმ, ცფათი, ტვერია, ხევრონი, მთელი 2000 წლის მანძილზე. საქართველოს ებრაელთა ლტოლვა-მისწრაფება ერეც-ისრაელისკენ, მართალია ატარებდა სპონტანურ-ემოციონალურ ხასიათს, მაინც განსაზღვრავდა მთელს ქართულ-ებრაელ სინამდვილეს, ცხოვრების არსს, აზროვნების ფორმას და შინაარსს, ქვეცნობიერებით ფსიქიკას, რომელიც უზავდა ასაზრდოებდა ჟამიდან-ჟამზე მოძალეულ მესიანისტურ კონცეფციას საერთო ხსნის, და შველა-გადარჩენის თაობაზე. იერუსალიმი, კირიათ-მელენ-რამ, ქალაქი აღზევებული დავიდის ხანაში, საქართველოს ებრაელობისთვის წარმოადგენდა არა მხოლოდ ეროვნულ სიმბოლოს, არამედ უწმინდეს სასულიერო ცენტრს, რომლის მიწაშიც სამუდამო განსასვენებლის პოვა ნატყრასა და ოცნებას შეადგენდა. ყოველი რიგითი ქართველი ებრაელისთვის. ისტორიულ სიონისტურ იდეოლოგიას საფუძველი ფაქტიურად რიშის ნაწერებში ეყრება: ერეც-ისრაელი მსოფლიოს ცენტრია და სარწმუნოებრივი თვითაღზვევების წყარო. აქ ცხადდება ღვთაება, აქ ჰქონდა ადგილი ყველაზე მნიშვნელოვან წინასწარმეტყველებებს, აქ აშენდა შელომოს (სოლომონი) ბეთ ჰამიკლამი ანუ წმინდა ტაძარი. გამიჩნის დირსების მოსავენებლად. ესაა პირველი, სიმბოლურად მიწიერი ტაძარი, თუმც არის კიდევ 6 სხვა ტაძარი, რომელიც ექვსს განცალკევებულ წმინდა საზრისს განასახიერებს და რომლებშიც ღვთაება ივანებს.

**საქართველოს მკვლევართა
ისტორიის ასახვა საქართველოში
ქართველი მკვლევართა
კოლექტიური ცნობიერებაში**

მოყოლებული XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში ხშირად ჩამოვიდა ევროპელი თუ რუსი ებრაელი მოგზაურები, რომლებიც კრებენ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მასალებს ქართველ ებრაელთა შესახებ, მათი სულიერი, რელიგიური ცხოვრების, ეპიზოდურ დოკუმენტებს და სისტემატურად აქვეყნებენ ებრაულ თუ იდიშენოვან პერიოდულ პრესაში. ი. ჩორნი, ც. ქოსლოი, ე. პროზუმენტორი და სხვები სათანადო მასალებს ქართველ ებრაელ რაბინთა და სასულიერო-საერო მოღვაწეთა ხელმოწერით, აწვდიან „ჰაქათმელის“, „ჰამეკასერის“, „ჰამლეტის“, „ჰაქფირას“, „ჰამაგიდის“ რედაქციებს. აი, მაგალითისთვის ტიპურ-წერილობითი წარდგინება ცხინვალის ებრაული ჯამაათისაგან, გამოქვეყნებული „ჰამაგიდში“ (18.8.1869, გვ. 251-252. თარგმანი ებრაულიდან „კავკასიონი“ IV, 1978-1979, გვ. 5) „ჩვენ ისრაელის ჯამაათები, მდ. ლიანხვის პირზე მდებარე ქ. ცხინვალში პირველი ტაძრის დროს წარმოტყვევებულთა ნაშიერ-შთამომავალნი, რომლებიც გორგისტანის (საქართველოს) ქვეყანაში ესახლობთ უძველესი დროიდან... დიდა ფრიად ჩვენი შეჭირვება... მწარესა და

ხანგრძლივ ტყვეულობაში, იმ დღიდან როცა ჩვენი ქვეყნიდან ავიყარენით და ჩვენს მიწას დავეშორდით, ჩვენთა მრავალთა ცოდვათა გამო, უსარგებლო ჭურჭელივით ვეყრებით ერთი ადგილიდან მეორეში... მივიღეთ მრავალი ტანჯვა და შეჭირვება სპარსეთის მეფეთაგან, კავკასიის ტომთაგან, და ბოლომდე შევსვით შხამის ფილაც გორგისტან-არმენიის მეფეთა დროსაც, და ჯერ კიდევ არ გადაუვლია ჩვენს თავზე დატრიალებულ სამინელ ქარიშხალს უძველესთა დროთაგან... სასტიკი ბატონების მონობაში ჩავკარდით, ყმებად და მოახლეებად დავიყიდე და ა.შ. მიმართვას ხელს აწერენ რ. აკობ მამისთვალოვი და ჯამათის სხვა წევრები. ნედერი (ვალდებულებითი პირობა) შევკეთეთ, თუ გამიჩნის, კურთხეულია იგი სასწაულს დაგვმართავს და მოვახერხებთ ნაპირამდე მიღწევას და ღუზის ჩაშვებას, ჩვენ მთელი ჩვენი ქონების მეთაურს (მასერ) გავიღებთო. მართლაც შეგვიბრალა გამიჩნდა ე.ი. და სასწაული დაგვემართა. წყალი შეიჭრა იმ სათავეში, სადაც ხვრელი გაჩნდა, მაგრამ სხვა ოთახ-სათავსებში აღარ გადასულა. ახლა კი მოვედით აქ ჩვენი ნედრის (ვალის) მოსახლეობად და ნაპირებისამებრ.

ხანმებმა განსაჯეს: ვინაიდან ის სათავსი გემისა კლდეს წამოედო და მასში ხვრელი გაჩნდა, საკვებით იყო მოსალოდნელი, რომ წყალს შიდა სათავსებისკენაც უნდა შეეღწია და მთელი გემი წაუღებო. როგორდა დაეცო ის ხვრელი, ისე რომ წყალი სხვაგან აღარ გადასულა?!

გადარჩენილებმა უპასუხეს: ჩვენ არაფერი არ ვიცით, ამის შესახებ ხანმებმა მიუგეს, აგერ, გემი ხომ სანაპიროსთანაა, წადით და გასინჯეთ, ისე რომ ხელახლა არ ჩავარდეთ სამიშროებაში, ზღვას რომ დაუბრუნდებითო.

მეზღაურები წავიდნენ მათ დავალები-სამებრ, გასინჯეს ხვრელი და ნახეს, რომ ის, დანოტივებული ფქვილის ცომით სავსე ტყავის ტომართი დაცობილიყო. დაბრუნდნენ სალოცავში, თან ის ტომარა მოიტანეს. ის ქვრივი ქალიც ისევ იქა დგას. ხანმებმა მას მიმართეს: აბა შეხედე ტომარას, განა შენი არაა ის? იქნებ რაიმე ნიშანი გაქვს მის ამოსაცნობად. ქალმა უპასუხა: რა თქმა უნდა, ეს ჩემი ტომარაა და აი მისეული ნიშნებიც. გასინჯეს და ნახეს, რომ ნიშნები ემთხვეოდნენ ნათქვამს. უთხრეს მას: „მიდი, აიღე ეს ფული, ის შენია, რადგანაც შენმა ტომარამ გემი გადაარჩინა იმ მიცვის წყალობით, რომლითაც ოთხი ადამიანი ასაზრდოეს. ერთი მიცვა მეორეს იწვევს“.

პრეტენზიებს უყენებდნენ საქ-ში არსებულ ებრაულ ჯამაათებს ფულისა და შესაწირავის შეგროვება-გადიდების თვალსაზრისით“.

რაბი მიხ. ელაშვილის წიგნი „ზევას უმინხა“ („სამსხვერპლო და ძღვენი“) 1910 წელს გამოიცა ქ. პეტერბურგში. წიგნი ანთოლოგიურ ხასიათს ატარებს (დაწერილებით „კავკასიონში“ V, 1980, გვ. 93-95) და განიხილავს ცალკეულ თავებში საჭირისყოფილ დღეების, წლისთავის საფლავებზე წასაკითხი ლოცვანის საკითხებს. წინასიტყვაობაში, რ.მ. ელაშვილი გადმოგვცემს საკუთარ თეოლოგიურ მსოფლმხედველობას.

1) ყოველივე არსებული დედამიწის ზურგზე სინათლისა და ნაპერწკალის ძალით განისახა. განსახვა საკუთრივ თორის წმიდა ასოთა მისტიური შერწყმა-მიერთების ძალით განხორციელდა. ქმნადობის

პირველმძებნი თვით ღმერთია. 2) ადამიანის გარდაცვალებისას მისი ყველა გრძობა ისპობა, სხეული საფლავში იხრწნება და მისგან არაფერი რჩება, გარდა ერთი ძეგლისა, რომლისგანაც ისევ აღსდგება ადამიანი მეორედ მოსვლისას. „ზოპარის“ შემდგენელი ხანმები კი მას „კუსტა დე ხალუთას (სიცოცხლის ძეგლი) სახელწოდებით იცნობენ. სწორედ ამ ძეგლშია ჩავენებული განსვენებულის სულიც, რომელიც ღმერთს უბრუნდება. მაღლობის მშობლიური სუჯუნის ჯამათისადმი (ჩამოთვლილია გვარები), ასევე აეროსტინულად (რამე თებოთ) გაწყობილი ფსალმუნნი („თეპილი“) და შადაია-ამულეტების ნუსხები.

ანალოგიური ხასიათისაა იმერეთის (ქუთაისის) ებრაელთა მიმართვა დათარიღებული 1870 წლის აპრილით, რომელიც განხილულია წინასაფუხსა ხარის მსხვერპლთშეწირვის საკითხი. მეორე წერაში (16.2.1970) კულაშელი ებრაელების საყოფაცხოვრებო პრობლემატყაა განხილული რ. იცხაკ ჯანაშვილის და სხვათა ხელმოწერით. საჩხერის ებრაელობა (მთ. რაბი ელიაუ შალელაშვილი 2.3.1870) თავის ნატყრას გამოხატავს მაშაბ ბენ-დავიდის მოსვლასთან და „შარავანდემოსილი ტაძრის ჩქარ აშენებასთან დაკავშირებით“. თავის მხრივ ქარელელი ებრაელები ირწმუნებიან (9.3.1870, მთ. რაბი არონ მოშიაშვილი) ე.წ. ალილათ დამის ანუ რიტაულური ცილისწამების უსაფუძვლობას „ჩვენს შორის არ არსებულა რომელიმე ჯგუფი ძველ დროში, ჩვენი თორის წესები რომ დაერღვიოს და ადამიანთა შეილები სისხლი ეჯამოს...“

იერუსალიმს განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ქართველ ებრაელთა საყოფაცხოვრებო სინამდვილეში, მათ მესიანისტურ მისწრაფებებში, ფოლკლორსა და ბავშვის გაზრდაშიც კი რ. თავიდიშვილის თანახმად (დასახ. შრ. გვ. 49-51) ქუთაისელ ებრაელებში“

როდესაც მშობლებს შვილი არ ეზრდება, ან გვიან უჩნდება „ნედერს“ (შეკვეთა) იზამენ.

უშვილო ქალი შეკვეთამს „ოღონდ ღმერთმა შვილი მამცეს, იერუსალიმ წავალ და თან წავიყვან, როცა ცხრა წლის გახდება, მისი სიგრძის სანთელს ლოცვას შეეწირამ; ჩემსას არაფერს ჩავაცმევ, სეფერ-თორას კაბას მივართმევ ვერცხლის კალმით, ჩემ ძუძუს არ ვაჭმევ, მისი თმის წონა ოქროს (ან ვერცხლის) ცხრა წლის, თუ ღმერთმა მამასწრო იერუსალიმში რომ წავიყვან, იქვე დაეტყვებ, ცალ ყურში (ვაჟს) საყურეს გაუყერი, ყოველ ორშაბათ და ხუთშაბათ ვიმარხულებ, რადმენიმე წელიწადს (3-5); წარუეკანს, გარდა შაბათისა და „მოყედისა“ (უქმისა) „ხორც არ დაკვილიამ“ და სხვა.

ჩვენ უკვე მიუვითეთ ებრაულენოვან მონოგრაფიაში „კავკასიის ებრაელთა ისტორია პალესტინაში“, რომ საქართველოდან გამოსულთა ხვედრითი წილი დიდი იყო იერუსალიმის ებრაული მოსახლეობის ზრდის პროცესში. იერუსალიმში მცხოვრებ თემის ძველ და შეძლებულ ოჯახთა შორის შეიძლება დავასახელოთ გვარები: მიხელაშვილი, ხანში-შვილი, ლევიაშვილი, ბალუაშვილი, კოვი-აშვილი და ა.შ. ძველ ქალაქში საქართველოდან გამოსულთა ხელში იყო 6 სალოცავი და ამდენივე თაღმუდი თორა /რელიგიური სასწავლებელი/. 1875 წელს გურჯებმა მოშე მონტიფიორისადმი წარდგინილ წერილში თავიანთი სოციალურ-სამა-

როლებრივი სტატუსი იერუსალიმში დაახასიათეს როგორც „მისთაფხიმ“ /მიერთებულნი/, ანუ მოქალაქეობა-მიღებულნი ქვეშევრდომობის თვალსაზრისით, ოღონდ აღნიშნავენ, რომ საქართველოდან არიან წარმომობით. ხანგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოდან ათეულობით ებრაული ოჯახის რეპატრაციასზე ერეც-ისრაელში გავლენა მოახდინა ორი ურთიერთდაპირისპირებული ქვეყნის მეფის რუსეთისა და ოსმალური თურქეთის ურთიერთდამოკიდებულებამ. გაუკეთესდა მიმოსვლის სატრანსპორტო საშუალებანი. რეპატრიანტთა უმრავლესობა ისრაელში ამოვიდნენ საქართველოს დიდი ქალაქებიდან, კერძოდ, თბილისიდან, ქუთაისიდან, ახალციხიდან, ცხინვალიდან, აგრეთვე შედარებით პატარა დაბებიდან: ბანშიდან, სუჯუნიდან, კულაშიდან და ა.შ. ეჭვი არაა, რომ საქართველოს ებრაელთა სწორედ შეძლებულმა ნაწილმა შეძლო გადაეტანა ისრაელში როგორც ოჯახის რჩენისათვის საჭირო სარჩო-საბადებელი, ასევე ეკონომიური დაბანდებისათვის საჭირო სახსრები.

ჯერ კიდევ 1855 წ. მოშე მონტიფიორი აღნიშნავდა 19 ქოლელის /სათემო რელიგიური სასწავლებლის/ არსებობას იერუსალიმში, მათ შორის იყო სამი სეფარადული, მადრიბული და საქართველოდან გამოსულთა ქოლელები. საქართველოს ებრაელთა აღწერისას განსვენებული იცხაკ ბენ-ცვი წერდა: „გურჯები ანუ გეორგები ამიერკავკასიიდანაა, მათ შორის ბევრია ქონების პატრონი, არიან აგრეთვე ვაჭრები და მდიდარი ზარაფები...“ /მოგონებანი და ჩანაწერები, 1966/. 19-ე ს-ის მეორე ნახევრის დასაწყისში დაარსდა გურჯების პირველი უბანი ძველი ქალაქის გალავნის გარეთ და ამით საქართველოდან გამოსულთა თემმა თავისი წვლილი შეიტანა გალავნის გარეთ ებრაული დასახლების დაფუძნებაში, ქალაქის გაფართოებასა და თემის საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში, რასაც თავის მხრივ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც სოციალური, ისე სულიერ-რელიგიური თვალსაზრისით. ზეთისხილის მთაზე არსებულ საქართველოს ებრაელთა სასაფლაოზე შეინიშნება სამი ფენა: ზემო, საშუალო და ქვემო. საფლავის ქვის ყველაზე ძველი წარწერა განეკუთვნება 1840 წელს.

არანაკლებ საინტერესოა, სამეგრელოს მხარის (სუჯუნა) ებრაელთა მიმართვა ი. ჩორნისადმი, 23.2. 1870-ით დათარიღებული, მთ. რაბინის აბრამ მიხელაშვილის და სხვათა ხელმოწერით. წერილში ლაპარაკია ახალ სათემო-საზოგადოებრივ წყობაზე, ურთიერთსიყვარულსა და წმ. ქვეყნისადმი სწრფავზე. 1870 წლის 9 თებერვალს გაზ. „ჰამაგიდში“ (§6) გამოქვეყნდა ახალციხის ებრ. ჯამათის წერილი მთ. რაბი იეპოშუა ბინიაშვილისა და სხვების ხელმოწერით. ახალციხელი ებრაელები იუსყებთან საკუთარ წარსულ ამბებს, წინაპართაგან გადმონაცემს.

(გაგრძელება იქნება)



კულტურა

• ვინ უნდა მიხედოს ამ ქვეყანას, თუ არა ჩვენ?
 ვინ უნდა დაიცვას იგი?
 ვინ უნდა ააშენოს და დაამშვენოს? ცხადია, ჩვენ!

© ფილმის პრემიერის შიშაღებ

გრძნობა მამულის მოვლისა

ბესნოშვიტი: ამ რამდენიმე წლის წინათ, ტელევიზიით უჩვენეს ახალი ქართული დოკუმენტური ფილმი „დაგვიანებული კადრი“ (ებრაელთა სულის მოსახსენიებელი ლოცვა), რომელშიც ბევრ საგულისხმომ პასაჟთან ერთად, ასეთი კადრიც იყო – საქართველოში ვიზიტად მყოფი ისრაელის პრემიერ-მინისტრი არიელ შარონი პატივს მიაგებს თბილისში დაკრძალულ ბების საფლავს. საერთოდ, ფილმი ებრაელთა დაკარგულ საფლავებზე მოგვითხრობდა და მაყურებელს ჩააგონებდა – ერი, რომელიც არ იცნობს თავის წინაპრების საფლავებს, შეძლებულია პატივს არ სცემდეს სხვათა საფლავებს. სურათის ავტორების – ცნობილი მწერლისა და დრამატურგის გურამ ბათიაშვილის და ცნობილი კონორეჟისორის მერაბ კოკოჩაშვილის თანამშრომლობა ამ ფილმით არ დასრულდება, თითქოს „დაგვიანებული კადრის“ გაგრძელებასავით გამოვიდა მათი ახალი დოკუმენტური ფილმი „იმ ექვსეტი იერუსალიმი“ („თუ დაგვიანდა იერუსალიმი“), რომელიც სულ ახლახან უჩვენეს „ტელევიდეში“ და რომელსაც დიდი მოწონება ხვდა წილად, უპირველესად, სწორედ

ისრაელში. იმ დღეს ჩემი ძველი მეგობრები რედაქციაში მესტუმრნენ და ახალი ფილმის შესახებ ბევრი საინტერესო რამ მიაშინებ, რომელთაგან ზოგს, ქვემოთ ვთავაზობ ჩვენს მკითხველს.
ბურაბ ბათიაშვილი:
 – „თუ დაგვიანდა იერუსალიმი, გახმეს მარჯვენა ჩემი და ენა ჩემი მიახმეს სასას ჩემსას“ – ეს ფრაზა უხსოვარი საუკუნეებიდან ასაზრდოვდა ებრაელ ერს და, აკი, გასული საუკუნის საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს, მან საქმით აღასრულა ყოველივე – დაიძრა დედისამშობლოსკენ – ისრაელისკენ. მე მხედველობაში მყვანან „საბჭოთა ებრაელები“, უპირველესად კი ქართველი ებრაელები, რომელთა შეიძლება ითქვას, თავგანწირულმა ცდამ, შედეგი გამოიღო, გზა გახსნა სამშობლოსკენ.
 – მაინც, რა ჩაიდინეს ასეთი?
 – გაუკაცურე საქციელით... 1969 წლის აგვისტოში თერამეტმა ქართველმა ებრაელმა არალეგალურად წერილი გაგზავნეს გაეროში და მოითხოვეს ისრაელში რეპატრაცია. ეს ის დროა, როცა როდესაც გრომიკომ გაეროს ტრიბუნლიდან განაცხადა, არც ერთ

ებრაელს არ სურს საბჭოთა კავშირის დატოვება. და აი, მოხდა საოცრება – ისრაელის წარმომადგენელმა სწორედ ტრიბუნაზე ცხვირნინ დაუდო გრომიკოს თვრამეტი ებრაელის წერილი. რა საკვირველია, მთელ მსოფლიოში გახმაურდა ეს ამბავი (მხოლოდ „ჩვენ ვიჯექით ჭურში“), ამის შემდეგ მოსკოვში გორკის ქუჩაზე, ცენტრალურ ტელეგრაფში გაიმართა ქართველ ებრაელთა აქციები...
 ეს იყო ბრძოლა თავისუფლებისათვის, რომლის სათავეებთან, როგორც აღვნიშნე, ქართველი ებრაელები იდგნენ. ისინი მიისწრაფოდნენ დედისამშობლოს მოსავლელად! სამშობლოს მოვლა კი დიდი ნიჭია, დიდი ვალიცაა, ხომ ამბობს გალაკტიონი: „ჰე, მამულო გრძნობა შენი მოვლისა, მარად ყველა ჩვენთაგანის ვალია!“
 ებრაელები ამ გრძნობით მიჩქაროდნენ ისრაელისკენ და გახდნენ კიდევ მისი ბატონ-პატრონი.
მერაბ კოკოჩაშვილი:
 – გურამის იდეა მომეწონა, მით უმეტეს, ახლანდელ სიტუაციაში, როდესაც საქართველოდან წასულია უამრავი ახალგაზრდა ქართველი. სამშობლოს მოვლისა და



პატრონობის იდეა აუცილებელი გახდა ჩენთვის. ვინ უნდა მიხედოს ქვეყანას თუ არა ჩვენ? ვინ უნდა დაიცვას იგი? ვინ უნდა ააშენოს და დაამშვენოს? ცხადია, ჩვენ! რა დამავინყებს: ისრაელში ყოფნისას ბატონმა არიელ შარონმა გვითხრა, მენვიეთ მამულში და იქ გადავიღოთ ზოგი რამეო. მივდივართ უდაბნოში, მივდივართ და უცებ გამოჩნდა ოაზისი – მწვანეში ჩაფლული შარონის მამული – მისი მარჯვნივ მოვლილი და დამშვენებული, თანაც საგანგებოდ, პალესტინის ავტონომიის სიახლოვეს.
 ეს გრძნობა უნდა გვასაზრდოვდეს განსაკუთრებით დღეს, რადგან საქართველოს არც თუ კარგი ხანა უდგას.
 – ფილმი, ცხადია, ძირითადად, ისრაელში გადაიღო, არა?
 – დიახ... „გზამკვლევა“ თაობიდან ბევრი ცოცხალი აღარ არის, მაგრამ მათ დარჩათ შვილები, შვილიშვილები... სწორედ ისინი უფლიან ისრაელს და დიდი მადლიერებით იგონებენ წინაპრებს.
ბურაბ ბათიაშვილი:
 – ორიოდ კვირის წინათ მე და მერაბი ისრაელში ვიყავით მინგული. ჯერ იერუსალიმში გაიმართა

ჩვენი ფილმის პრემიერა, შემდეგ კი ხულონში და თელ-ავივში, უზარმაზარი იყო ემოცია, რომელსაც თითოეული ებრაელი იწვევდა. შეხვედრები ებრაელი და ქართველი ხალხების მეგობრობის ნამდვილ ზეიმად იქცა.
 ფილმის წარმატებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ იგი უკვე მისციდეს ისრაელის ტელეარხებმა და მალე უჩვენებენ კიდევ... ყველა გვილოცავდა და განსაკუთრებით გახარებული იყო ბატონი ეფრაიმ გური – პროექტის ხელმძღვანელი და ბევრი კარგი საქმის სულისჩამდგელი.
 – მეც გილოცავთ, მეგობრებო... კვლავ წარმატებებს გისურვებთ!
მერაბ კოკოჩაშვილი:
 – მინდა თანადგომისთვის მადლობა ვუთხრა იერუსალიმისა და ხულონის მერიას, საქართველოს საელჩოს ისრაელში, საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესს – ბატონებს: ლაშა ჟვანიას, მიხ. მირილაშვილს, შლომ დავიდს და სხვ.
ვილან მარდალიშვილი
საქართველოს რესპუბლიკა
№ 38
28 თებერვალი

„იმ ექვსეტი, იერუსალიმი“ ისრაელში

31 იანვარი, ქ. ხულონი. პრემიერის ორგანიზატორი ქ. ხოლონის ვიცე-მერი შლომ დავიდი.
 შლომ დავიდი (ქ. ხოლონის ვიცე-მერი):
 – საღამო მშვიდობისა მჭირფასო მეგობრებო, ჩვენ ამ პრესტიჟულ დარბაზში შევეკრებთ, რათა მონაწილეობა მივიღოთ იმ ფილმის პრემიერაში, რომელიც ქართველ ებრაელთა ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებისათვის გმირულ ბრძოლას ასახავს, დღევანდელი საღამო ქართველი და ებრაელი ხალხების უადრესად მადლიანობის, ტოლერანტული სულისკეთების გაფრთხილებას, იმ ორათას ექვსას წლიანი მეგობრობის გაფრთხილებას, რომელიც კაცობრიობას მოუწოდებს, მომავალი ცხოვრება განავითაროს, იმ ზნეობრივი კატეგორიის ჩარჩოებში, რომელიც გამოიწვევს მთელი მსოფლიოს წინსვლასა და აღორძინებას. ცნობილი სიტყვებისა არ იყოს: აღარ აღმართავს ერი ერზე მახვილს და აღარ ისწავლიან ომებს, ამ სისხლთ გაუღწილად დედაშიწვე დამყარდება ძმობა და იხიებებს ღვთაებრივი გამგებლობა. დღევანდელი ფილმი მოწოდებს იმას, რომ ებრაელი ვერ გაექცევა ებრაელობას. ჩვენი ხალხის ისტორია გვასწავლის: ებრაელობისგან გაქცეული ებრაელი, კვლავ ებრაელობას უბრუნდება. თვით ურიელ აოსტა არის განსახიერება ებრაელობიდან განდგომისა, რომელიც ურწმუნოებისაგან მიდის და უხდება ურწმუნოებაში ცხოვრება.
 სანინოას ფილოსოფია, კოსმოპოლიტურ პოლიტიკას ატარებს. თუ მისი ფილოსოფიის სიღრმესა და რაობას გაემიჯნა, ამაში ებრაული არისა და ფესვების გამოვლინებაა. ებრაელი, რომელიც ებრაელობას იფიცებს, კვლავ ებრაელობას უბრუნდება. თვით მარქსიც ვერ გაქცა რეალობას. იგი წერდა: ფილოსოფოსს სამყაროს შეცვლა სურს, ჩვენ კი გვსურს გარდაქმნათ, ეს ერთ-ერთი დომინანტური ნიშან-თვისებაა ებრაელისა. მარქსმა თავისი ებრაელობა გარდამქმნელობაში გამოიქცა.
 2600 წლის წინათ ჩვენ ცეცხლითა და მახვილით აგვარეს ჩვენივე ქვეყნიდან და მივიდით ქართულ მიწა-წყალზე და მივიტანეთ დიდი საჩუქარი – ბიბლია, რომელიც ძმობის, სიყვარულისა და მეგობრობის იდეებს ღადავებს. ამ იდეებმა ასახვა პპოვა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყა-

როგორც უკვე ვიწყებოდით, ისრაელში ჩატარდა დოკუმენტური ფილმის „იმ ექვსეტი, იერუსალიმი“ („თუ დაგვიანდა იერუსალიმი“) პრემიერა. გარდა უკვე გადმოცემული ინფორმაციისა, ფილმის პრემიერა გაიმართა 14 თებერვალს თელ-ავივში, „ბეთ ციონი ამერიკაში“. პრემიერის ორგანიზატორები გახლდნენ საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესი და საქართველოს საელჩო ისრაელში. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა სემკის თავმჯდომარის მოადგილემ, პროფესორმა დავიდ ბაზუოვმა. მან სიტყვა მისცა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ისრაელში ბ-ნ ლაშა ჟვანიას.
 როგორც იერუსალიმში, ასევე ხულონსა და თელ-ავივში გამართულ პრემიერებს თან ახლდა ორატორთა გამოსვლები. ეს გამოსვლები საინტერესო გახლდათ როგორც ქართულ-ებრაული ურთიერთობის, ასევე ყოფითი თვალსაზრისითაც.
 ფილმის პრემიერამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ქართულ-ებრაული ურთიერთობის უნიკალური ხასიათი.

ოლანში“, რომელიც ძმობას, მეგობრობასა და სიყვარულს უმღერის, მადლდება ინტერნაციონალური რაობის სიმბოლოებად. ასე რომ საქართველოში, ჩვენ, ქართველი ხალხი წარმართულ სამყაროს გამოვტაცეთ და იქ ერთდებრითააბოის მცნება დაემაკვიდრეთ, ამან ქართველი ხალხის ზნეობისა და მორალის ამაღლება გამოიწვია.
 ჩვენი – ქართულ-ებრაული მეგობრობა უნიკალური მაგალითია მთელი მსოფლიოსათვის. ებრაელი ხალხის არსებობა თურმე კანონია ღმერთისა, ქართველი ხალხის არსებობაც კანონია ღმერთისა და იდეგერმლოს ამ ურთიერთობამ – ჩვენმა მძურმა მეგობრობამ და ჩვენი ისტორიული ნაბიჯები წარმართოს წარმატებიდან წარმატებამდე. საამო ჩვენმა ყოფილიყოს ამ ფილმისა.
დარბაზიდან: იყენენ სხვა სიონისტებიც. რატომ ისინი არ არიან ფილმში?
აბრაჰამ პაპისმელიძე (დარბაზიდან):
 – დიდი მადლობა ფილმის შემქმნელებს. ეს ფილმი დიდებული რამეა, მაგრამ იყენენ და არიან ადამიანები, რომლებიც ცეკას შერბამა პროტესტის მოწმენი გახლდნენ. კარგი იქნებოდა, სანამ ფილმის გადაღებას დაიწყებდნენ, პრესის ან რაიმე წყაროს საშუალებით, მოგვითხრათ საზოგადოებრიობისთვის თუ ვინმეს შეეძლო რაიმე ინფორმაციის მოწოდება ფილმის თაობაზე, მოგვაცოდოთ. 1969 წ. ცეკას შერბამთან მოხდა პროტესტის გამოხატვა. ამის თაობაზე ყველამ იცოდა, ამიტომ რეკონებში პარტიულ პირებს იმხებდნენ და სთავაზობდნენ საწინააღმდეგო ორგანიზაციის შექმნას, რომელიც 18 ქართველი ებრაელის ოჯახს წინააღმდეგობას გაუწევდა. პი-

რეულმა მდივანმა გამოიძახა და მოხოვა ამ დღეს თბილისში წავსულიყავი და წინააღმდეგობა გამეწია 18 ებრაელისთვის. მე სასტყეი უარი განვატყვადე, გავიპარე თბილისში, მონაწილეობა არ მიმიღია, მაგრამ ვუცქერდი რა გმირულად იქცეოდნენ ისინი. საშიშროება არსებობდა არა მარტო მათთვის, მათი ოჯახებისთვისაც, მაგრამ გამჩნმა გვიშველა. თუ ამ ფილმის გაგრძელებას აპირებთ, მიიღეთ შენიშვნები. დიდი მადლობა.
სოსო ბარდანაშვილი (კომპოზიტორი):
 – ბ-ნ გურამს დავეთანხმები, მთავარია დავიწყოთ. კარგი ფილმის გადაღება შეიძლება ქუთაისელ ებრაელებზეც, არ ვამბობ მხატვრულ ფილმს – დოკუმენტური ფილმი. იმერეთის ებრაელები უდადესი თემაა. თბილისში ებრაელები 100 წელია ცხოვრობენ, ქუთაისში ისინი საუკუნეების წინათ დაემკვიდრდნენ. ფილმის გადაღება შეიძლება ებრაულ საფლავებზე. თემა ამოუწურავია. ჩვენმა მომავალმა თაობამ შეიძლება პოლიკულტურული ფილმი, შესანიშნავი მასალა ფილმისთვის. წარმოდგინეთ 18 ოჯახი „ყრია“ მშვერი. რა ხდება მოსკოვში, ისრაელში, ამერიკაში, რეკავენ და ა.შ. საოცრად კარგი ფილმის გადაღება შეიძლება. თუ ვინმეს რამის დამატება სურს, დაუკავშირდეს ბ-ნ გურამს, ან სემკს.
 თუ ის გსურთ, რომ ყველაფერი აისახოს, შეაგროვეთ ერთი 150 მილიონი დოლარი და პოლიკულტურული ფილმის შექმნა.
 დიდი და ამოუწურავია ებრაელებზე თემა. არ ვამბობ მხოლოდ ქართველ ებრაელებზე. მამჩიემ მქუდე იყო, მას აყენანმა ებრაელებმა ასწავლა ქუდის კერვა. ქართველმა ებრაელებმა არ იყო-

დნენ. ვინ იყო გაპროვი? პოლონელი ებრაელი, მან იფიში იცოდა, ჩამოვიდა საქართველოში, შეისწავლა ქართული და ასეთი დიდი საქმე გააკეთა. ჩვენზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. თუ მოვიხილოებთ, ბევრის გაკეთება შეგვიძლია. თუ არა ჩვენს მომავალ თაობას წარმოდგენაც არ ექნება საქართველოზე. ჩვენ საქართველოდან ბევრი რამ წამოვიდეთ. ცუდიც, მაგრამ უფრო მეტი კარგი.
 მადლობა ფილმის შემქმნელებს, მართლაც ისტორიული ფილმა.
 საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ისრაელში ლაშა ჟვანია.
 – მოგესალმებით მეგობრებო. დიდი მადლობა შლომ დავიდს ასეთი საღამოს მოწოდებისთვის. უნიკალური ფილმა თავისი ისტორიით. ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო შლომ დავიდის სიტყვების მოსმენა. ძალზედ სასიამოვნოა ის, რომ პირველად, რომელმაც რამდენიმე წლის წინათ დატოვა საქართველო, ასე თბილად იხსენებს საქართველოს, იმ ურთიერთობებს, რომელიც ორ ხალხს შორის არსებობს. წელს 20 წელი ხდება, მას შემდეგ, რაც პირველად ჩამოვედი ისრაელში, 1987 წ. დედასთან ერთად ვიყავი. დედა აფთიაქში მუშაობდა. 72 კაცანი კოლექტივში ერთადერთი ებრაელი იყო, ყოველთვის ამბობდა ხოლმე, ასე ვფიქრობ ხოლმე თითქოს მე ერთი ქართველი ვარ და დანარჩენი ებრაელები არიანო. მაგრამ 1987 წელს ჯერ კიდევ მუშაობდა „საბჭოთა კავშირის“ მანქანა. სამი თვის გაკეთებული პასპორტი თავიდან გააკეთებინეს, შემდეგ პრობლემა გახდა ის, რომ ერთი შეილი მივეყვდი ისრაელში, – დარჩებითო, დიდი ძალისხმევა დასჭირდა დედაჩემს, ისრაელში რომ ჩავსულიყავით. 1987 წ. პირველად ჩამოვედი ისრაელში.
 რაოდენ რთული იყო იმ პერიოდში, როცა საბჭოთა მანქანა ძალიან ძლიერად მუშაობდა. ფილმში არის მომენტები, როცა თავი ვერ შევიყვადე და ცრემლიც მომადგა. მინდა გულითადად გთხოვოთ მათ, ვინც ფილმში ვერ მოხვდა, გული არ დაგვწყდეთ, ეს ჩვენი ორი ქვეყნის ისტორიაა. მინდა წარმატება ვუსურვო ჩემთვის სათაყვანებელ ადამიანს ბ-ნ მერაბ კოკოჩაშვილს და ჩემს უფროს მეგობარ ბ-ნ გურამ ბათიაშვილს, ვუსურ-

(დასასრული იხ. მე-8 გვ.)

სამხარეთის უმაღლესი სასამართლო

ჩონოსანი ფურჩი



ამანმა მთელი სპარსეთის იმპერიის ებრაელების განადგურება განიზრახა. სავარაუდოა, რომ საქართველო იმ ეპოქაში სპარსეთის იმპერიის ნაწილი გახლდათ და ქართველი ებრაელებიც აღმოჩნდნენ სამშრობოების წინაშე. მერე კი ქართველი ებრაელებიც ისევე შეიმობდნენ გადარჩენას, როგორც იმპერიის სხვა ქვეყნები.

მერე რა, რომ იმ დღიდან ოც საუკუნეზე მეტი გავიდა – „პილელი თბილისის“ დირექტორი მორის კრიხელი ფურჩის ისევე შეეგება, როგორც იმდროინდელი ქართველი ებრაელები – ჩონით მორთული. არა იმიტომ, რომ ფურჩი საკარნავალოდ განაწყოვს, ჩონა არა კარნავალის ეთნოგრაფიის კომპონენტია და მორის კრიხელი იმიტომ მორთო ასე, რომ იმდროინდელ მოხეივანე ქართველ ებრაელთა სულისკვეთებას მიახლოებოდა. მიუხელოვად კიდევ თბილისის ახალგაზრდა ებრაელობა გულითადად დღესასწაულობდა ფურჩის. იყო თამაშობანი, ცეკვა, სიმღერა, ლაღობა. დღესასწაულის შეგრძნების ერთი უმთავრესი კომპონენტი ის გახლავთ, რომ მიმოფანტული ქართველი ახალგაზრდობა ერთად იყო, ერთიანობის სულისკვეთებით ზეიმობდა ებრაელობის გადარჩენას.

თუჩიმი სონხუთში

28 თებერვალს „სონხუთში“ ფურჩის დღესასწაული იმეც ძველი წელთაღრიცხვის 300 წლის წინანდელი მორღეხის, ესთერის, ახაშვეროშისა და ამანის ამბავი ულფანის მოსწავლეებმა იუმორისტულ ფერებში წარმოადგინეს. ულფანის დირექტორმა და ღონისძიების ორგანიზატორმა ლარისა ნამთალაშვილმა შორი გზიდან ჩამოსული სტუმარი მოიწვია და დარბაზში სამასკარადო კოსტიუმში გამოწყობილი სონხუთის წარმომადგენელი საქართველოსა და სომხეთში გრიგორი ბროდსკი შემოვიდა. მან ყველას დამდეგი ფურჩის დღესასწაული მიულოცა და მომავალ წელს დიდი საფურჩო მასკარადის გამართვა აღუთქვა.



თეატრალური ნომერი წარმოადგინა სონხუთთან არსებულმა სტუდია „ბალაგანჩი“ ხელმძღვანელი სოფია კიტაიევიჩი. ფურჩისადმი მიძღვნილი ლექსები წარმოთქვეს საბავშვო ულფანის აღსაზრდელებმა. ღონისძიებაზე მუსიკალური ნომერი წარმოადგინა დათო შავთოშვილმა.

დასასრულს გაიმართა ვიქტორინა თემაზე: „ფურჩი“. გამარჯვებულები, ვიქტორინის პრიზებით, ტორტებით დამსწრე საზოგადოებასაც გაუმასპინდლდნენ.

ინო ლოშია

ფურჩი „შალომ, სეზამი“

4 მარტს თბილისის ებრაულ სახლში კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდთან არსებულმა საბავშვო ჯგუფმა „შალომ, სეზამი“ ფურჩის დღესასწაული იმეცა. პატარებთან ერთად მათი მშობლებიც მხიარულობდნენ.



შეკრებილ საზოგადოებას მიესალმა კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდის დირექტორი ელენე ბერეჟიჩი და საბავშვო ჯგუფ „შალომ, სეზამის“ ხელმძღვანელი მარიეტა ისრაელიანი. საკარნავალო კოსტიუმებში გამოწყობილმა ბავშვებმა ლექსები: ქართულ, ინგლისურ, რუსულ, ებრაულ ენებზე წარმოთქვეს, იმღერეს და იცეკვეს. ყველა პატარა საფურჩო საჩუქრით – ტბილუულით დასაწყობდა.

ინო ლოშია

საქველმოქმედო აქცია



4 მარტს მსოფლიოს ქართველ და ქართველ ებრაელ ქალთა ასოციაციის ქალბატონებმა საქველმოქმედო აქცია მოაწყვეს. ასოციაციასთან ერთად საქველმოქმედო აქციაში მონაწილეობდა მაია გუდავაძე. ქალბატონები თბილისის ებრაულ სათემო სახლს ესტუმრნენ და „ჯონისის“ პროგრამის „ბავშვთა ინიციატივის“ პატარებს ფურჩის დღესასწაული მიულოცეს.

პროგრამა „ბავშვთა ინიციატივის“ ხელმძღვანელი ნათია პაპისმელოვა მოესალმა სტუმრებს ყველას ფურჩის დღესასწაული მიულოცა და აქციის ინიციატორებს პროგრამის პატარები გააცნო. პატარებმა იმღერეს, იცეკვეს, ლექსები თქვეს და საჩუქრებით დასაწყობდნენ.

ლონისძიებაზე მისულ სტუმრებს მიესალმნენ და ფურჩი მიულოცეს: „ჯონისის“ წარმომადგენელი საქართველოსა და სომხეთში სერგო ვლასოვი, ებრაული სახლის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე რეზო შათაშვილი, მსოფლიოს ქართველ და ებრაელ ქალთა ასოციაციის პრეზიდენტი ევა ბაბალაშვილი, ებრაული სახლის პროგრამების კოორდინატორი ზაირა დავარაშვილი.

ინო ლოშია

ფურჩიდან ფესახამდე

ფურჩის შემობრძანების საღამოს ხალხმრავლობა გახლდათ თბილისის დიდ, ცენტრალურ ბეთ ქნესეთში – ჯამათი სინარულით ეგებებოდა ფურჩის. იყო მლოცვეები და დლოცვეები, კეთილი სურვილების გამოხატვა. ახალგაზრდა ხანაში – დავით აზიზოვი გატაცებით კითხულობდა „მევილათ ესთერს“. ჯამათიც მხნედ შესახებდა: – არურ ამან!

და ამ შეხახილში ებრაელი ერის ყოველი მოძულის – თანამედროვე ამანებისადმი რისხვასაც გამოხატავდა. ებრაელობას დღესაც ისევე ემუქრება ამანები, როგორც შორეულ საუკუნეებში, მაგრამ ერი იმედოვნებს, რომ ყოველი დროის ამანი მისი სულიერი წინაპრის ახაშვეროშის დღევანდლის ბედს გაიზიარებს. ამის ნათელი დასტურია ისრაელის მოძულე ერის დიქტატორი, როგორ დაემსგავსა მისი ბიოგრაფია და ბედი (დასჯის სახეობაც კი!) ამანისას.

მევილის წაითხვის წინ კი თებიდან ჯამათის ფურჩის მობრძანება მიულოცა გაბაიმ – შალვა ქოსაშვილმა. ბატონმა გაბაიმ ვრცლად ისაუბრა და სავეითი დამსახურებულად მადლობა გადაუხადა ბატონ ბადრი პატარაკაციშვილს სათემო მოთხოვნისა და მისი გამოჩენილი ყურადღების გამო. ასევე სავეითი სამართლიანად სანაქებოდ წარმოაჩინა ისრაელის ელჩის ბნ შაბთაი ცურის ბიოგრაფია და ყურადღება ჩვენი თემის პრობლემებისადმი, გამოხატა მადლიერება ხელისუფლებისადმი იმის გამო, რომ იგი ყურადღებას იჩენს ებრაული თემისადმი. გაბაის აზრით, ეს ყურადღება გამოვლინდა საპასუხისმგებლო პოსტებზე ებრაელთა დანიშვნაში (თავდაცვის მინისტრად – ბნი დავით კეზერაშვილი, სამაუწყებლო კომპანია „რუსთავე-2“ გენერალურ დირექტორად – კობა დავარაშვილი) გაბაიმ ისიც აღნიშნა, რომ სპორტი ერთობ მნიშვნელოვანია ებრაული თემის ცხოვრებაში და სანიმუშოდ მიიჩნია ჯ. ხუხაშვილის საქმიანობა. შემდეგ კი საფესახო

სამზადისზე ისაუბრა. მან ჯამათს აუწყა, რომ საქართველოს ებრაელობას საფესახოდ მაცა აჩუქა „ორ აფერის“ ხელმძღვანელმა, ბუხარელ ებრაელთა მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტმა, ბინესმენმა ლევ ლევავემ, რომ საქართველოში მალე ჩამოვა 11.5 ტონა მაცა და ყოველ ოჯახს თითოეული წევრისათვის უსასყიდლოდ დაურიგდება 2,5 კილოგრამი მაცა. მაცის მიმღებმა თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, რათა გამოგზავნის წარედგინოს მაცის მიმღებთა სრული საიო.

თბილისის ჯამათის დღესასწაული მიულოცა ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ბნმა შაბთაი ცურმა. მან მიუღ საქართველოს, მის

ებრაელობას მშვიდობიანი, წარმატებული მომავალი უსურვა და მოულოდნელად ისაუბრა იმანზე, რასაც ამჟამად ისრაელის საელჩო აცეთებს: მალე შ. რუსთაველის სახ. სახელმწიფო აკადემიურ თეატრში სახეიმიოდ აღინიშნება ისრაელის დამოუკიდებლობის დღე. საელჩო ასევე აღნიშნავს ისრაელსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების 15 წლისთავს, ხოლო მოგვიანებით – იერუსალიმის განთავისუფლების 40 წლისთავს – სრულდება 40 წელი იმ დღიდან, რაც ისრაელმა ექსტრემიზმის დაპარტახა არაბულ სახელმწიფოთა კოალიციური ჯარებით.

ისრაელის ელჩის გამოსვლას ჯამათი ტაშით შეეგება.

რედაქციისაგან: გაბაის მიერ ბნ ლევ ლევავეისადმი გამოთქმულ მადლიერების გრძობას ჩვენც ვუერთდებით – ბუხარელმა ბინესმენმა და საზოგადო მოღვაწემ დახმარების სული გამოუწოდა იმას, ვინც მას დახმარება სთხოვა – საქართველოს ებრაელობას, მაგრამ გესურს განვმარტოთ: ერთია, როცა ბეთ ქნესეთს, ჯამათს დანხმარებას უწყვეს ჩვენი თემის შვილი, ჩვენი სისხლი და ზორცი (ისე, როგორც ეს იყო შარშან, როცა ბნ ბადრი პატარაკაციშვილმა ბეთ ქნესეთს მრავალი ათასი დოლარი აჩუქა მაცის შესაძენად, ან როგორც ამას აკეთებს სოლმე ბინესმენი ილია მოსიაშვილი, როცა სულმოკლე, უქონელი მოსახლეობისათვის თავად ყიდულობს მაცას) და სულ სხვაა, როცა დანხმარებისათვის მიგმართავთ ჩვენი ჯამათისგან შორს მდგომ სახელოვან მოღვაწეს.

ბეთ ქნესეთის ხელმძღვანელობა ისე უნდა მუშაობდეს, რომ ჯამათი თავად იკმაყოფილებდეს თავის რელიგიური ეროვნული ხასიათის მოთხოვნებს. ამ შემთხვევაში – უნდა აცხობდეს მაცას, ან შეიძენდეს მას და ჰყიდდეს მოსახლეობაზე, რათა ეს „პური ტანჯულობისა“ ყველამ თავისი ოფლით მონაგარით შეიძინოს. ასეთია ყოველი ჯამათის ტრადიციული რელიგიური ცხოვრების წესი.

თუმცა, არც ქვეყნის ებრაული თემის იმიჯზე ზრუნვაა მთავარი საკითხი საქმე. ვფიქრობთ, ბეთ ქნესეთის ყოველდღიური მუშაობა, ყოველი ნაბიჯი ისე უნდა იყოს გათვლილი, რომ თემს ჩრდილი არ მიადგეს, არც იმ ქართველ ებრაელებს, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში არიან და საფესახოდ აუწყებენ: საქართველოს ებრაელობა ჩვენ დავაკმაყოფილებთ(!)

ჩვენ ვაფასებთ გაბაის წვლილს ბეთ ქნესეთის კეთილმოწყობის საქმეში, მაგრამ მაინც უნდა გავცეს პასუხი კითხვას: თბილისის ბეთ ქნესეთის გამგეობა რატომ წავიდა ამ გზით – ჯამათის რატომ არ უქმნის იმ პირობებს, რომ თავად იკმაყოფილებდეს თავის მოთხოვნილებებს?!

ამ საკითხებზე სასაუბროდ გაბაისათვის „მენორას“ კარი ტრადიციულად ღიაა.

გილოცავთ!

„ჰესედ ელიაჰუს“ საბავშვო პროგრამა მსხალ ტოვი ყველას გილოცავთ ფურჩის დღესასწაულს. ქალბატონებს კი გილოცავთ 8 მარტს.



ფურჩის დღეებში სადღესასწაულო კონცერტი პატარებმაც გამართეს. სტუმართა წინაშე წარსდგნენ: ელენე გეფტლერი – 4 წლის, კახაბერ ლაბაძე – 4 წლის, ალექსანდრა შვეცივა – 4 წლის, ნოდარ აბრამიშვილი – 3 წლის, ესთერ ავი – 2,5 წლის, ავთანდილ ტარიელაშვილი – 2,5 წლის

„მსხალ ტოვის“ მიერ ჩატარებული კონცერტები ძალიან მოსწონთ „ჰესედ ელიაჰუს“ სამეურვეო პირებს და ვცდილობთ ყოველთვიურად ბავშვები წარსდგნენ მათ წინაშე.

სიონისგან განუყოფელი

ისინი ზღაპრულ ადგილას ცხოვრობდნენ. ერთ-ერთში, ქალაქის იმ ერთ-ერთ სახლში რომლის სანახავადაც მთელი მსოფლიოდან ჩამოდან ტურისტები. ზოგჯერ გეგვენება, რომ ქალაქის დამაარსებლის – ვახტანგ გორგასალის იდუმალი სული აქ კვლავ სუფევს.

ქვეყანაზე არის ადგილი, რომელიც გეგვენება, რომ მხიარული მხატვრის მიერ არის დახატული. მთელი ძველი თბილისი ასეთია. მისი ქუჩები მოგაგონებთ დახლართულ კიბეებს, რომელსაც პუ-



რის მოედნიდან ჯერ კლდის ძირამდე, მერე კი მთის წვერამდე ავაჯხარ. ცისფერი აბანოსგან შორიახლოს, აუქრული ხიდის ქვეშ, ქუჩის და ებრაელები ხალხებს რეცხავდნენ. ერთი – ჭრელ, სხვადასხვა ფერის ტანსაცმელში გამოწყობილი, მეორე კი უფრო მოკრძალებულ ტანსაცმელში, ისე, როგორც ტრადიციის შეფუქრება. მტკვარში მომდინარე მდინარე დიდი არაა, მაგრამ მტკვრელია, მისი ხმა გოგონების წერიალა ხმას ერწყმის.

როგორი პრაიმულია დიდი სალოცავის ეზოში შოხტთან რიგში. იგი სადღესასწაულოდ ქათმებს კლავს. ფურცლის დღესასწაულის წინ სინაგოგის ეზო თეატრალურ მოედანს იქცევა. ქრისტიანი, მუსლიმი და ებრაელი მეზობლები ერთმანეთს პატივს სცემდნენ. ამბობდნენ, ასეთი ურთიერთპატივისცემა რაბი ისრაელ ბაბალიაშვილის ავტორიტეტის წყალობით იქნა მიღწეული. მას შეეძლო ხალხის გაერთიანება უბრალოდ და დირსხეულად უცხოთვისსაც შეეძლო ეთქვა: „ებრაელი – ერთადერთი კრია, რომელიც იძულებულია საუკუნეების განმავლობაში უცხო ქვეყანაში იცხოვროს, მაგრამ ის კრია, რომელმაც შეძლო შეენარჩუნებინა თავი, როგორც ერს, ე.ი. მას აქვს უფლება და ვალდებულება იმხიარულოს!“

და მისი ესმოდათ, ამასვე იმეორებდა სახეობო სუფრანზე და ამბობდა: „მაგრამ ებრაელები მხოლოდ მტერზე გამარჯვებას არასოდეს ზემობენ, ისინი ზემობენ მხოლოდ თორისთვის ბრძოლაში გამარჯვების მოპოვებას. ის არის ებრაელის ფარიც და მახვილიც!“

„თენ შაბათ ვეთენ შალომ“ (მოგვეცი სიმშვიდე შაბათს). ეს იყო მათი ოჯახის საყვარელ სიმღერათაგანი. რაბი ისრაელ ბაბალიაშვილის და მის მეუღლეს – მალკა ბაბალიაშვილის ყველა შვილი დღესასწაულის დღეებში იყვნენ დაბადებულნი. ხაია 1930 წ. სიმხათ თორაში დაიბადა, რივა და ნისანი – ფესხში (რივა 1932, ნისანი 1938 წ.), იოსები რომ პაშანის დღეს – 1940 წ.

ქართულ მიწაში განისვენებენ ოჯახის თავი ისრაელ ბაბალიაშვილი და მისი ორივე შვილი, იოსები და ნისანი. ძნელი იყო მალქასთვის პატივსაცემი ახალციხელი რაბინის – იესეხიელ თერთუაშვილის ქალიშვილისთვის ძვირფასი საფლავების დატოვება, მაგრამ 1990 წლის დეკემბერში მრავალჭირგამოვლილმა, გაუდიმარმა ქალმა, რომელსაც მკაცრი, თითქოს ქვისგან გამოთლილი სახე ჰქონდა, გული კი რბილი, და გარდაცვლილ მეუღლეს ადმერთებდა, მთელი ოჯახი ატეხა და შევიდნენ თბილისიდან და ორ ქალიშვილთან ერთად ოჯახებით თბილისიდან ისრაელში ამოვიდა.

ისინი იერუსალიმში დასახლდნენ. მალქამ ასე არჩია, ასევე მოინდომებდნენ მისი მამა და ქმარი. უფროსმა ქალიშვილმა ხაია-მერაბმა, ოჯახის წევრებისთვის – ცაცამ, ყოფილმა მასწავლებელმა, მეუღლესთან – ბორისთან ერთად ბუხარულ კვარტალში იქირავა, მისი და – რივა ოჯახთან ერთად პისგათ-ზევეში დასახლდა. მალქამ ისრაელში მხოლოდ ოთხი წელი იცხოვრა, ბორისმა – ცხრა წელი. „როცა ახლობელ ადამიანებს კა-

რავ, ცხოვრების გასაგრძელებლად საჭიროა და მხმარე საშუალებები – ამბობს ხაია – ჩემთვის ეს მოგონებებია. საოცრად არის ადამიანი მოწყობილი: რაც უფრო შორდება წარსულს, ის უფრო მეტად ვიანხლოვდება.“

ხაიას მეხსიერებაში სურათები ცოცხლად შემონახული. მამის ის შვიდი წლის იყო, რივა ხუთის იქნებოდა. ფესახის საღამო იყო. სინაგოგიდან მამის დაბრუნებას ელოდნენ. სუფრა გაწყობილია, სანთლები ანთია. ხაია ფანჯარასთან ბავშვებს ხედავს, არა მეზობლებს – სხვა ქუჩის ბავშვებს, რომლებიც იმიტომ იყვნენ მოსულნი, რომ ენახათ ებრაელები მაცისთვის როგორ აიღებდნენ სისხლს. „სახლთან მოსულმა მამამ, როცა მდგომარეობა შეიტყო, არა მხოლოდ არ აღმოფთებულა, ისე როგორც მე, არამედ მხიარულად მოიპატიჟა სუფრასთან „ცნობისმოყვარე დოვლაპიები“.

ხაიამ არა მხოლოდ ასზე მეტ გვერდიანი მოგონებების ჩანაწერი მოიპოვებდა რომელიც ისრაელში დაწერა, არამედ სხვა მრავალი საქაღალდე, გამოქვეყნებული და ხელნაწერი ტექსტებით. საოჯახო ფოტოებთან ერთად, რომელიც სხვადასხვა პერიოდში იყო გადაღებული. ისე რომ, მე შემიძლო მძებნა და დების ცხოვრებას გავცნობოდი მათი ჩვილობის პერიოდთან. სხვა მასალებთან ერთად ერთი უჩვეულო ხელნაწერი აღმოჩნდა. ოჯახის თავმა – ისრაელ არონის ძე ბაბალიაშვილმა ოჯახის წევრებს დაუტოვა. „ჩანაწერი და სინაგოგის, მიხეებისა და დარდის რეკული“. იგი ჩანაწერებს 1936 წ. აწარმოებდა.

„სული აფორიაქებულია. ვგრძნობ ქვეყნის თავზე როგორ იზრდება ღრუბელი. პირად ცხოვრებაში ჩემთვის არც თუ ისე უბრალო დიდიმის წინაშე აღმოვჩნდი: ჩემი გოგოები გაიზარდნენ. ისინი ჩვენი ტრადიციით სულიერებით არიან აღზრდილნი: ინახავენ შაბათს, დღესასწაულებს. კითხულობენ ებრაულად არა მხოლოდ ასოებს, არამედ დილის ლოცვებსაც, ჩვენთან ერთად მონაწილეობენ შაბათის ფერხულში, სადღესასწაულო სუფრის გარშემო, ხან ხელომ აყვანილი, ხან მხრებზე დაბრძანებული, როგორც მევე სოლომონი გვასწავლის: „ახალგაზრდა გზაზე დააყენე, და ის მისგან არ გადაუხვევს და არასოდეს დაბრუნდება“, მაგრამ მალე სკოლაში მიდიან. ვფიქრობ, რომ თუ მათ განათლების გარეშე დაეცვლები, არ იქნება კარგი. ზოგიერთი მეგობარი შეწინააღმდეგებდა, მაგრამ ვფიქრობ, რომ აუცილებელია ჩვენი ზნეობის, ჩვენი თორის საფუძვლები გათავალისწინება, რომელზეც მსოფლიო თანამედროვეობასთან ერთად დგას.“

ხაია და რივა სკოლაში მიდიან, და რაბი ისრაელი მათ დასახმარებლად თავისთვის „პროგრამა-მინიმუმს“ ადგენს – როგორც იგი თავად ეძახის. მათემატიკა მან იცოდა, იყუებს ლიტერატურის, ისტორიის, გეოგრაფიის შესწავლას, აგროკულტურას, „მდიდარ“ ბიბლიოთეკას. გეოგრაფიის სივსაც სწავლობენ. რივასთვის მუსიკა პროფესიად იქცევა.

დგება 1937 წ. რაბი ისრაელი ციხეში წერს: „ქვეყანაში „დიდი წმენდა“ დაიწყო. ხელისუფლებამ არც ერთი დამოუკიდებელი, როგორც ებრაული თემის ხელმძღვანელი, თბილისის სინაგოგის რაბინი. აი უკვე მეორედ ვარ დაჭვრილი.“

პირველად 1934 წ. იგი დაპატიმრებულ იქნა ბელორუსიის და უკრაინის ებრაული თემების წევრებთან მიმოწერის გამო, თორის შემსწავლელი წევრების შექმნისათვის სოხუმში, ბათუმში, სურამში, ზუგდიდში და ცხინვალში შოხტებისა და მოვლების მომზადებისთვის და იმისთვის, რომ მაცის საცხოვრობი ღუმელი შეისყიდა – ერთი სიტყვით, თუღამიზის გავრცელებისთვის.

რაბინი იუმორის გარეშე აღნიშნავს: „ასეა, დამნაშავეებს შორის არც ერთი ფალსიფიცირებული არ ყოფილა. მე განმცხადეს, რომ რელიგიური ებრაელები ავტორიტეტად მთვალა (მადლობა!), რომ ორგანიზება გავუკეთებ ხედვების ქსელს (მართალია), რომ მწერენ მსოფლიოს ყველა კუთხიდან, რომ დაეწვი ეს წერილები! მართალია, დაეწვი რომ არ ჩამეშვა ხალხი!“

და აი, კვლავ ციხე. „გარშემო საშინელი მოვლენები ხდება: დაპატიმრება, დახვრეტა. როგორ შეეცვალო ისეთი რაბინი, როგორც რ. ელუაშვილი იყო, რომელიც საკუთარ ეზოში, წმინდა წიგნებთან ერთად დაწევს? ჩემი პასუხი იქნება ებრაელისა და თორის სწავლების გაგრძელება – ეს ერთადერთია, რასაც ებრაელი ფლობს. როგორც „თეილიშია“ ნათქვამი: „ზოგიერთი ცხენსა, ზოგიც ეტლზე ჩვენ ღმერთის სახელთან ვართ“. ტყუილად ცდილობენ ჩვენს განიარაღებას. იგი განაგრძობს: „მეექვსე თვეა ტყვენი ვარ. აინტერესებთ ჩემი კავშირები და გვეგები. მათ ვპასუხობ: „ვასწავლიდი და კვლავ გავაგრძელებ ებრაული ენის სწავლებას. ნებისმიერმა პატივცემულმა ადამიანმა უნდა იცოდეს საკუთარი ანბანი, საკუთარი ტრადიციები და არანაირი ძალა არ არსებობს ჩემს გადასარწმუნებლად!“ (მისი ვაჟი ნისანი გახდება „კანიონიერი“ ებრაული ენის მა-

სწავლებელი, სემიტოლოგი ებრაისტი) მანამდე კი ოჯახი მატერიალური დახმარების გარეშე რჩებოდა. ახლობლები ურთიერთობას უფრთხობდნენ.

ჩანაწერი „რეკული“ „მადლობა ოჯახის წევრებს, განსაკუთრებით მამას – ელიაპუს“, მისი უფროსი ძმა მძიმე წუთებში არასოდეს ტოვებდა. ახალგაზრდობაში, როსტოვის ლუბაჩინის ემივაში, სწავლის შემდეგ უმცროსის – ისრაელის ჯერაც დედა, ჯარში წასულიყო. ელიაპუს ის-ის იყო დაემთავრებინა ჯარში სამსახური, მაგრამ მძაზე, რომელიც მკაცრად ინახავდა შაბათს და ქაშურის, შიშობდა, რომ მთელი სამსახური „გაუპტკავსტი“ არ გაეტარებინა. ამიტომ მორეჯერ იმსახურა ჯარში, რომ მის გვერდით ყოფილიყო. „დეკაბრისტები“ – „ასეთი იყო ძმათა კავშირი“ – იწერდა რაბი.

ციხეში მას თავისუფალი დრო გამოუჩნდა და ბავშვობის მოგონებებს უბრუნდება, მშობლიურ სახლს, მათი გვარის წარმომავლობას. თუ მის გვარს მოვამოვებთ „შვილს“, რაც ებრაულად არის ბენ“, გვარის – ბაბალიაშვილის ძირი იქნება ბავლი (ებრაულად ბაველ – ბაბილონი), ე.ი. ისინი იმ ებრაელების შთამომავლები არიან, რომელთა წინაპრებიც საქართველოში ისრაელიდან ბაბილონის ტყვეობის შემდეგ მოდის. ისრაელ ვავილონსკი... შთამბეჭდავია, ხომ მართალია?

...რა ვიცით ერთმანეთის შესახებ“. რატომ არის, რომ ქართველ ებრაელთა შორის ასეთი ძლიერია ოჯახის ტრადიციების წინააღმდეგობა? ოცდაექვსი საუკუნე უცხო ქვეყანაში მცხოვრებლებმა, როგორ შეინარჩუნეს საიამე?! ისინი ქართულს მეორე სამშობლოდ მიიჩნევენ, მაგრამ არასოდეს ავიწყლებოდათ პირველი. სხვა დასაბურთის ცენტრებში (ანტიოქია, ალექსანდრია) მცხოვრები ებრაელები. ინახავდნენ კავშირის ერეც ისრაელთან და სხვა თანამემამულეებთან, რომლებიც მთელ მსოფლიოში იყვნენ გაფანტულნი. ის, რომ ქართული სიტყვა მათთვის მშობლიურად იქცა, ხალხური მელოდიები – მათ საყვარელ მელოდიებად ეს ჩვეულებრივია. თუდური სმენისთვის ეს სასიამოვნო იმიტომაც, რომ ბევრი საგალობელი სიმღერა – ზაზანუის მოგვაგონებს – იგივე განცდები აქვს.

ის, რომ ქართველმა ებრაელებმა ათასწლეულებში შემდეგ თორის, ენისა და ტრადიციების ერთგულება შეინარჩუნეს, უბაღლოა. ებრაელებს ნაკლებად ავიწროებდნენ. დაახ. ისინი ყოველთვის მადლობას ეუბნებიან იმ ხალხს, რომლებმაც შეიფარეს. თუმცა, ენციკლოპედიაში შეიძლება წაიკითხოთ, რომ XIX ს-ის მეორე ნახევარში სისხლიანი ცილისწამებები პროპორციულად უფრო მეტი იყო საქართველოში, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყანაში. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის გახლდათ, რომ საქართველოში რუსეთის ანტისემიტური გავლენა იყო, რომელიც საქართველოს რუსეთის იმპერიასთან შეერთებამ მოუტანა. მაგრამ იყო სხვაც! რუსი იყო დამპყრობი, მის უკან იმპერია, მის წინააღმდეგ ვერ წახვალ, ებრაელი კი უცხოა, როგორც ყველგან. მცირერიცხოვანი და დაუცველი ერი ცხოვრების უკმაყოფილების გამოხატვის ხელსაყრელ საშინელ იქცა და ძველი ქსენოფობიის კომპლექსის მიზეზი გახდა.

ამის გარდა, ებრაელთა ქალაქებში გადასახლებამ, მათი საქმიანობის ხასიათის შეცვლა გამოიწვია. ისინი შესამჩნევნი გახდნენ, წარმატებებს მიადწევს სხვადასხვა სფეროებში, ძირითადად ვაჭრობაში, ე.ი. ხდებოდნენ მდიდრები, რაც შურს იწვევდა. ებრაელები შევიწროვებს XX ს-შიც განიცდიდნენ. იყო აშკენაზი და „ძირული“ ქართველ ებრაელებს შორის დამატებულია.

გასული ათასწლეულს შეიძლება გადაფასების ეპოქა დაკარქეთ: მარკო პოლო ჩინეთში აღმოჩნდა, დარვინი – კიდევ სად. ზოლო ეკიპაჟი „აპოლო-11“ მთვარეზე ავიდა და მის ზედაპირზეც გაისიერა. რა ამომრავლებათ მათ? მოგზაურობის სიყვარული? განათლების გაღრმავების სურვილი, ცოდნის არეალის გაზრდა, ნიუთონის გაგების ჩაღრმავება, მეკანტინული აზროვნება, განძის ძებნა?

ამდენმა ხალხმა, მთელმა ერთმა საკუთარი სურვილის წინააღმდეგ, იძულებით დატოვა საკუთარი სახლი, სად ყოფილა ასე, რომ ერი იმ ქვეყანაში მისულიყო, რომელიც მას არ აურჩევია: ზანგები ამერიკულ პლანტაციებში მიჰყავდათ, რომ დაემორჩინათ, სომხები 1915 წ-ის გენოციდის შემდეგ, მთელს მსოფლიოში გაიფანტნენ; ებრაელებიც, კატასტროფის მსხვერპლნი აიყარნენ საკუთარი მიწიდან.

როგორ მიხვდნენ საერთოდ ებრაელები საქართველოში?

...მეფე ნაბუქედონოსორმა ააოხრა იერუსალიმი და იქიდან აყრილი ხალხი ქართლში მოვიდა – მცხეთაში და მიეტათ მათ უფლება დასახლებულიყვნენ მდინარე არაგვის ნაპირზე...“ როგორც ქართულ ხელნაწერებში წერა. ებრაელები საქართველოში პირველი ტაძრის დანგრე-

ვის შემდეგ, ახალწლოთარიცხვამდე 600 ს-ით ადრე დასახლდნენ: ახალ იერუსალიმად იქცა მცხეთა. საოცარია, რომ მცხეთა და მისი შემოგარენი ზუსტად ემთხვევა იერუსალიმისა და მისი შემოგარენის ტოპონომიკას.

ახალი წლოთარიცხვის 70 წ. მეორე ტაძარიც დაინგრა. ებრაელთა ახალი ტაღლა კვლავ ჩამოვიდა საქართველოში.

დევნილებმა, როგორც ჩიტებმა, ზუსტად იციან ფრენის ხაზი, ისინი იმავე გზას გადიან. ამაზე ქართული ხელნაწერები თუწევა „რომაელთა კეთილშობილ ააოხრა იერუსალიმი და იქიდან დევნილი ებრაელობა მცხეთას ჩამოვიდნენ და ძველი ებრაული თემების გვერდით დასახლდნენ. ებრაელთა საქართველოში ჩამოსვლის ფაქტს ადასტურებს მრავალი ისტორიული თუ ლიტერატურული წყარო, მათ შორის სფლაგის ქვების ეპიგრაფები არამეულ და ებრაულ ენებზე (მომავალში ამის შესწავლას დაიწყებს ნისან ბაბალიაშვილი).

საქართველოს ებრაელთა საერთო ისტორია, მათი ბედი და ერთი ოჯახის ისტორია მოულოდნელ რაყურს იღებს, რომელიც წარსულსა და აწმოს აერთიანებს.

ბაბალიაშვილების ოჯახში, ნებისმიერი პოლიტიკური მდგომარეობის მიუხედავად, ებრაულის შესწავლა და ტრადიციების შენახვა სიცოცხლის არსი და ყოველდღიური არსებობის აზრი იყო.

ჩვენი რაბინი ციხეში დაკვრული, სადაც მან თავისი „რეკული“ წერა დაიწყო... „წერდა ბავშვობაზე და ახალგაზრდობაზე, თავის „შვილებზე“ და მოსწავლეებზე. აღმოჩნდა, რომ მოსწავლეები ბევრი ჰყავდა. იგი იწერდა კითხვებსაც და მთაზე პასუხებსაც. საოცარია, რომ არც ერთი მათგანი არ დაძველებულა.

თემა „მომე რაბინეუ“. მოსწავლე ვაღლია სვამს კითხვას: „რატომ დაისაჯა მომე ასე მკაცრად, რომელიც თავის ერს ერთგულად ემსახურებოდა? რატომ არ დაიმსახურა მან ერეც ისრაელში, იერუსალიმში ცხოვრება? მას ხომ უბრალოდ წმინდა ქალაქში გასეირნება არ სურდა, ამ ქალაქში ჩასვლით იგი 613 მცნებიდან ერთ-ერთი შეასრულებდა?“

რაბის უყვარდა ასეთი შეკითხვები. მისი პასუხი, რომელსაც სამი გვერდი უკავია ასე მოაზრდება: „თუ კი წუთიერი დაბნეულობის გამო ასეა დასჯილი თავდადებული ადამიანი, როგორი ფრთხილი უნდა ვიყოთ საკუთარ ზრახვებში და ქმედებებში უბრალო, მოკვდავი ადამიანი?! რო-



გორი პატივისცემით უნდა მოეპყრას მსოფლიოს დიდი ადამიანები საკუთარ სამეურვეო პირებს.

ახალი კითხვა: „რატომ არავენ იცის სადაა მოშეს საფლავი?“ და პასუხი: „რათა მომავალმა თაობამ მისგან ხატი არ შექმნას, არ ააგონ მის საპატივცემულოდ ტაძარი, რომ არ გააღმერთონ. რაბი ისრაელი ასე ებრძოდა პიროვნების გაკულტებას.“

„ფურცელზე – წერს იგი, – ძნელია იმ სიმხვევის გამოხატვა, რომელიც იბადება დიალოგებში და კამათში. მსმენელთან პირისპირ ყოფნა სიმხვევის მმატებს და ფრანა დამაჯერებელი გამოდის. ვიდაცამ ისიც თქვა, რომ ფრანა – მგზნებარა.“

ფოტოზე ისრაელი ბაბალიაშვილის სახე ლუთიური სილამაით არის მადლმოსილი. დიდი შავი, უმწყო თვალები ბრწყინავს, მისი თვალები ისეთია, როგორც სპეტაკი ბავშვის ან ბრძენის, დიდები მას ენდობოდნენ, ბავშვები კი ადმერთებდნენ.

...და, აი დგანან მისი შეილები, ორი გოგო სა-

რას ვპიიხულობთ ამ კვირაში? რუბრიკას უძღვება საქართველოს მთავარი რაბინი არიელ ლევინი

ქ ი თ ი ს ა



კვირის საკითხავი თავი „ქი თისა“ გამოიჩევა თავისი სიდიდით - 139 ფასუქი (წინადადება), და თემათა მრავალფეროვნებით: ნახევარი შეკვლის შეგრძობა უდაბნოში ებრაელთა რაოდენობის დასადგენად (ებრაელთა სათითაოდ დათვლა არ შეიძლება, რადგან შესაძლებელია ავი თვალის გაგვინის ქვეშ მოხედოდა), წმინდა მოსაცხები ზეთი, აღკვეცა, შაბათი, აღთქმის დაფების ხელმეორედ მიღება და ა. შ. მაგრამ ამ თავის ცენტრალური თემა უდავოდ ოქროს ხბოს, რომლითაც ებრაელებმა შესცოდეს თორის ბოძებიდან მურომოცე დღეს, ისტორიას. მოდით, მივყვით ყველაფერს თანმიმდევრობით.

მაშ ასე, თორის ბოძების შემდეგ მოშე აღის სინაის მთაზე ორმოცი დღის განმავლობაში გამჩენისაგან თორის სასწავლად და პირდება ებრაელებს, რომ ორმოცი დღის შემდეგ დაბრუნდნენ. ორმოცი დღის დასასრულს გამჩენი აძლევს მოშეს ორ, ფორმითა და ზომით ერთნაირ საფირის დაფას (ლუხთი). მათზე ამოტვიფრულია ათი მცნება. რატომ ათი

მცნება და არა მთლიანად თორა? როცა ბავშვი იწყებს სწავლას, მასწავლებელი ასწავლის მას ანბანს და ამისათვის წერს ასოებს დაფაზე. მხოლოდ მოგვიანებით, როცა ანბანი უკვე იცის, მოსწავლეს შესასწავლად აძლევენ წიგნს. ასევე გამჩენმა ჯერ თორა ათი მცნების ჩვენებით გაგვაცნო. ამით გვასწავლა თორის ძირითადი პრინციპები, და მხოლოდ ამის შემდეგ, მოგვიანებით მოგვცა მთლიანად ნაწერი თორა.

მაშ ასე, შვიდ სივანს, თორის ბოძების შემდეგ, მოშე აღის სინაის მთაზე. დადგა 16 თამუხის დღე, როცა ებრაელთა გამოთვლით მოშე უნდა დაბრუნდეს, მაგრამ ის არ ჩანს. საქმე იმაშია, რომ მოშემ ორმოცი დღე იგულისხმა მისი წასვლიდან მეორე დღით დაწყებული და უნდა დაბრუნებულიყო 17 თამუხს.

ებრაელმა ხალხმა უცბად სრულიად განმარტობულად იგრძნო თავი, სამხედრო უდაბნოში, წინამძღოლის გარეშე, რომელმაც მათთვის მრავალი სასწავლი მოახდინა და მოიყვანა ისინი აქამდე. ამასთან ბოროტის ხმა ეჭურქულბოდა მათ: „აბა როგორ შეუძლია ადამიანს (მოშეს) ორმოცი დღე საყვებისა და სასმელის გარეშე დარჩეს ცოცხალი?!“ ებრაელთა ეგვიპტიდან გამოსვლისას მათ შეუერთდნენ სხვადასხვა ჯურის ადამიანები (ერევ რაე). სწორედ მათ წამოიწყეს ამბოხი, მივიდნენ აპარონთან, ხურთან და სამოცდაათ ბრძენთან და მოითხოვეს: მოშე გაქრა, მოგვეცი შექცეული, ახალი წინამძღოლი, რომელიც მოგვანიჭებს ებრაელად შობილებთან თანასწორობას. მაშინ ისევე, როგორც მოშეზე, ჩვენზეც იქნება შხინა (გამჩენის თანდასწრება). ხურს და მირაიმს მკაცრად უსაყვედურეს: „თქვენ იმსახურებთ სასჯელს იმაში, რომ ემადლიერებით გამჩენს. მათ შორის ყველაზე უწმინდესებმა ქვემოთ ჩაქოლეს ის. გამჩენმა არ დაიცვა ხური ხალხის მიმართ წარმოთქმული მკვეთრი სიტყვების გამო. მაგრამ ხურის თავგანწირვა გამჩენის განდიდებისათვის (კიდუმ აშუმ) დაფასდა მის შთამომავლებში, რომელთაც დიდებას მიაცილეს. მისმა შვილიშვილმა ბეცაელმა ააგო

მიშქანი, გადაადგილებადი ტაძარი უდაბნოსთვის, ბეით ამიელამის (ტაძრის) პირველსახე. როცა ერევ რაემა აპარონს მოსთხოვა ოქროს ხბოს აგება, ის დათანხმდა, რადგანაც მისი მოვედინების ცოდვას უკვე აღარ აპატიებდა გამჩენი ხალხს. მაგრამ დროის გაყვანის მიზნით მან ბრძანა: „მოიტანეთ თქვენი ცოლ-შვილის ოქროს საყურეები.“ მას იმედი ჰქონდა, რომ ქალები ვერ შეძლებდნენ ძვირფასი ნივთების გაღებას. მანამ ქმრები ცოლებს დაიფიქრებდნენ, კიდევ ერთი დღე გავიდოდა და მოშეც დაბრუნდებოდა. ქალებმა მართლაც უარი სთქვეს ძვირფასეულობასთან განშორებაზე, მაგრამ არა მათთან შეჭვევის გამო. მათ არ სურდათ კერპის გაკეთება. მამაკაცებმა საკუთარი ძვირფასეულობა გაიღეს ხბოს გასაყვთებლად, ამიტომაც დაისაჯნენ - ისინი უდაბნოში დაიხოცნენ და ვერ შევიდნენ ისრაელის მიწაზე. ყველა ქალი კი წმინდა მიწაზე ავიდა.

როცა აპარონმა ოქრო ცეცხლში გასაღობად ჩაღო და საჭრელით დაიწყო გამოსახულების მიღება, ანუ მეტალის დასამუშავებლად მან აირჩია ყველაზე გრძელი გზა, ერევ რაეის ჯადოქრებმა ჯადოსნობით მოახერხეს ცოცხალი ხბოს გაკეთება. სწორედ მაშინ დაიძახეს მათ: „აი, შენი ღმერთი ისრაელი, ის ვინც გამოგიყვანა ეგვიპტიდან.“ უნდა აღინიშნოს რომ ხალხის უმრავლესობამ არ დაიჯერა ეს და გამჩენის ერთგულნი დარჩნენ. მაგრამ, რადგანაც ისინი არ შეეწინააღმდეგნენ ცოდვის ჩამდენთ, გამჩენმა ყველა ისრაელის შვილი დამნაშავედ ჩათვალა.

ორმოცი დღის განმავლობაში ლოცულობდა მოშე, რათა გამჩენს არ გაენადგურებინა ებრაელები ოქროს ხბოს ცოდვის გამო და მიადწია პატიებას. მაგრამ გამჩენის მიერ პატიებისათვის წარმოთქმულ სიტყვებში არის ერთი ცვლილება. თუ ადრე უდაბნოში ებრაელებთან თავად გამჩენი იყო, ახლა მათ ანგელოზი წარუძღვებოდა, რადგანაც, როგორც გამჩენი გვიხსნის, ის აღარ იქნება ებრაელთა შორის მათი სიჯიუტის გამო.

მოშე ეხვეწება გამჩენს, რომ კვლავ წარუძღვებს ებრაელებს და მისი არგუმენტი იფიქვა - ებრაელი ხალხი ჯიუტია. გაუგებარია! ის მიხეზი, რომლის გამოც გამჩენს აღარ სურს ებრაელებთან ყოფნა, მოშეს მოყავს რათა დაარწმუნოს გამჩენი დაუბრუნდეს ებრაელ ხალხს.



ლხს. როგორ ავხსნათ ეს? მისი არსი შემდეგში მდგომარეობს: მოშე ეუბნება გამჩენს: დიახ, მართალია, რომ ჩვენ ჯიუტები ვართ, ვერ დაგეძრავ, ვერ შემოგვატრიალებ, მაგრამ თორის კანონებით საცხოვრებლად, იმისათვის, რომ არ გადავუხვიოთ მათ მთელი ჩვენი ისტორიის განმავლობაში, მაშინაც კი, როცა დაგვეცინიან, როცა გავიკბადავენ, ზუსტადაც რომ სიჯიუტეა საჭირო. დიახ, ზუსტად ამ მიზეზის გამო უნდა იყოს ჩვენთან გამჩენი, რადგანაც ზუსტად ჯიუტი ხალხი შეეფერება თორის კანონებით ცხოვრებას.

როცა ამ სტრიქონებს კითხულობ, ჩემს ებრაულ ისტორიაზე ვფიქრობ, ვფიქრობ იმაზე, რაც ჩემთვის ძალზე ნაცნობი და მახლობელია, საქართველოს ებრაელთა გამჩენისადმი საკუთარი რწმენისათვის ჩადენილ გმირობაზე, „სიჯიუტეზე“, კომუნისმის წლებში. დევნის, დამინებების, დასჯის მიუხედავად ჩვენი ათობით და ასობით ხახამი ასწავლიდა ბავშვებს თორას, ლოცვებს, აკეთებდა ბრით მილას, არ მუშაობდა შაბათს და ამისათვის იგონებდა ათასგვარ მიხეზს, ციხეში და ბანაკებშიც კი იცავდა ქაშრუსს. 1953 წელს, როცა სინაგოგის დაკეტვას და მისი შენობის კინოთეატრად გადაკეთებას აპირებდნენ, ებრაელები ქვაფენილზე გასწვნი და არ შეუშვეს სინაგოგაში მისი დამანგრეველნი.

ახლა სხვა დროა და სხვა გამოცდები აქვთ ხალხს, მაგრამ, მოდით შევინარჩუნოთ ჩვენი „სიჯიუტე“, ის სიჯიუტე, რომელზეც მოშე რაბინეუ მიუთითებდა გამჩენს, სიჯიუტე, რომ დავრჩეთ ჭკუმატიტ ებრაელებად, დავიცვათ თორა და მისი კანონები.

დეილა თეთრუაშვილის ხსოვნას

დეილა, ჩტოთ ბალესტინისა ძარიან მომენცახები



პროფესია - ქართული და გერმანული ლიტერატურა არა მხოლოდ საქმიანობა, არამედ პირადი ცხოვრების უმთავრესი კომპონენტი იყო. ის არასოდეს გამოსულა იმ ბედნიერი ასაკიდან, როდესაც განსაკუთრებული აღტაცებით უყვართ სიტყვა, ლოგოსი, ლიტერატურა, ლიტერატურაში განფენილი სიბრძნე. მისთვის საუბრის უსაყვარლესი თემა უპირველესად ლიტერატურა და ფილოსოფია იყო. როგორც წმინდა და საკრალურ სიტყვებს ისე წარმოსთქვამდა მისი ინტერესებისა და კვლევის არეალში მყოფ ავტორთა სახელებს: სპინოზა, გეტე, შილერი, ვაჟა-ფშაველა, თომას მანი, გრიგოლ რობაქიძე, მიხეილ ჯავახიშვილი. . . მისთვის ამ დიდ შემოქმედთა და მოაზროვნეთა სამყარო სულიერი ძიებებისა და მუდმივი განსჯის საგანს წარმოადგენდა. დიდ შემოქმედთა კულტი ლეილასათვის სულიერი ცხოვრების ორგანული ნაწილი იყო. მას უყვარდა და იტაცებდა ღრმა აზრი, რთული და მწველად შესაცნობი ლიტერატურულ-ინტელექტუალური პრობლემები. მრავლისმეტყველია მისი ნაშრომების თუნდაც მცირედი ჩამონათვალი: „პანთეონის პრობლემა ახაგაზრდა გოეთეს შემოქმედებაში“, „სპინოზას პრობლემა გოეთეს ფილოსოფიურ ლირიკაში“, „ვაჟა-ფშაველასა და გოეთეს იდეურ-მსოფლმხედველობრივი ურთიერთობისათვის“, „შილერის ურთიერთობა დაძაბული ეპოქაში“, „ამორმალთა საიდუმლო გრიგოლ რობაქიძესთან“, „Amor dei intellectualis გოეთეს ფაუსტში“, „თომას მანი ებრაული ფენომენის შესახებ“. . . ეს ისეთი საკითხებია, რომელთა კვლევას ყველა კრიტიკოსი როდი გაუბედავს. ლეილა თეთრუაშვილის ნაშრომები ქვეყნდებოდა

არა მხოლოდ საქართველოში. მისი არაერთი სტატია ამშვენებს ისეთ სოლიდურ ორგანოს, როგორცაა „გოეთეს წელიწადული“, რომელსაც გოეთეს საერთაშორისო საზოგადოება გამოსცემს. ლეილას მომცრო ბინა მთაწმინდის ერთ მყუდრო უბანში არა მხოლოდ საცხოვრებელი, არამედ ინტელექტუალური ცხოვრების კერა იყო, ანუ, გალაკტიონის სიტყვებით ვიტყვი: მყუდრო ბინა ბრწყინავდა, როგორც აკადემია. გამოთქმებით ცხოვრება იყო ლეკენდარული. . . ლეილა ბოლო ხანს ხშირად იხსენებდა გალაკტიონის ტაპებს: „თუ გადარჩი, ზომ გადარჩი, კარგი, / ატმის რტოო, დაღალულო რტოო“. შენ ვერ გადარჩი, ძვირფასო რტოო პალესტინისა! შენი დაღუპვა მწვავე სინანულის გრძობას აღკვიძრავს ქართველ ფილოლოგებს, შენს მგობრებს შენს ორ სამშობლოში - საქართველოსა და ისრაელში და მათ, ვისთვისაც ძვირფასია ქართულ-ებრაული ძმობის წარსული თუ დღევანდელი დღე. სიკვდილის უსამართლობის წინაშე ერთი ნუგეში გვჩვენა: ლეილამ სახელოვნად და ლამაზად განვლო ცხოვრების გზა, რომელზეც თავისი ლამაზი კვალი დატოვა. სამუდამოდ ჩაქრა შუქი შენს ბინაში, მაგრამ ჩვენს გულში მარად დარჩება შენი სახე და შენი მოგონება.

ლაშაში და მშვენიერი სული არასოდეს ქრება, არსად იყარება - კელაპტარივით ანთია მუღამ. შენ ზომ ყოველმხრივ შემყული ქალბატონი ბრძანდებოდი - არაორდინალური, ნიჭიერი, უაღრესად ერუდირებული, პრინციპული, შარავანდელი მოსილი და გაციკროვნებული, აზროვნების სიღრმითა და მრავალმხრივობით გამორჩეული. არსებულსა და ღირებულს იმდენად ოსტატურად აკავშირებდი ერთმანეთთან და აძლევდი სახიერებას, რომ ერთ დიდ ოკეანედ აქცევდი და ხილვადს ხდიდა სამყაროში გაბნეულ მსოფლიო გონს. ამას განაპირობებდა შენი „გენეტური კოდის სიბრძნე, სიყვარული და ფილოსოფია სადღაც, რომელიღაც უდრემეს შრეებში ჩაგმანული“, ამასთანავე მადლიანი ქართული ზეცა და მიწა. ორი უძველესი ერის კულტურა, დიდება და პოეტური სულის სინთეზი, რომელსაც „საკუთარ პრიზმაში გარდათქმულს უკანვე გვიბრუნებდი“. ამიტომაც მოიპოვე ყველა დროის უდიდეს ადამიანებზე წერის უფლება. ღრმად მოაზროვნე ინტელექტუალური მამაკაცური გონი და ამასთანავე განუაჩინებელი ქალური სიკვლეუცე და კდემამოსილება განუმეორებელ ხიბლს სძენდა შენს პიროვნებას, რომლის წყალობითაც შეგვედა საოცარი უნარი სხვა განზომილებაში მოგვექცია მეთიხველი, თუ მსმენელი, უფრო მაღალ საფეხურზე აგვეყვანა, მოგენუსხა, გაგოცებინა, სულიერად აგემაღლებინა რომ აღფრთოვანებით გადმოვიხედა იმ სიმაღლიდან და, თუ შეძლებდა თავადაც ცეცადა გაესწორებინა თვალი იდგი გამოსხივებისათვის. მაღლიერი ვარ განგებისა, რომ შენთან მეგობრობის ბედნიერება მაჩუქა, შენი დაუვიწყარი ლექციების, მოხსენებების, საუბრების შემდეგ ჩემს სულში დასადგურებული ნეტარების და სიამაყის შეგრძნების და ეს გრძობა, იმედი, ონავა მაინც შემიძსუბუქებს განშორების ტკივილს. ძალიან მომენატრები.

მეღა ჯანაშვილი

(მესამე გვერდიდან)

რეპე წარმატებულ სიცოცხლესა და ხალისს. ეს უკვე მეორე ფილმი, რამდენიმე დღის წინ გაიხსენა და კვლავ გაიხსენებ „დაგვიანებულ კადიმს“. ის იყო პირველი პიონერული ფილმი, რომელიც ამ ორმა ადამიანმა შექმნა. ბოლო ოთხ წელიწადში ორი ფილმი გვიჩვენებს, რომ კიდევ ოთხ წელიწადში ორი ახალი ფილმი გვექნება. ბევრმა იცის, მაგრამ თითქოს მივიწყებულია, მტკერი ადევს იმ ფენომენს, რასაც ქართველი ებრაელობის თავდადება, სინისტური თავდადება ჰქვია. ბაბუა და ბიძა 72 წელს ამოვიდნენ ისრაელში, ისინი იმ 18 ებრაული ოჯახის სიაში არ ყოფილან, მაგრამ ის, რომ 87 წლის ხაიმ წყინაშვილმა აისრულა ოცნება – დამარხულიყო ისრაელის მიწაზე ამ 18 ებრაელის დამსახურება. ბაბუაჩემი ხაიმ წყინაშვილი ფილმში არ ჩანს, მაგრამ დამერწმუნეთ, გული არ დამწყვეტია.

თქვენი მომავალი თაობები იზრდებიან და კვლიანდებიან აქ, ეს ნამდვილად იმ გმირი ადამიანების დამსახურებაა, თითოეული თქვენი ოჯახის წევრის დამსახურება. გულდასაწყვეტია, რომ ქართველები და ებრაელები ერთად აღარ ცხოვრობენ, თუმცა კონფორტულების წყალობით ჩვენ მაინც ერთად ვართ და კიდევ დიდხანს ვიქნებით. ის, რომ ათწლეულების შემდეგ

აქ დაბადებული ქართველი ებრაელი ქართულს ცეკვავს, ეს ქართველი ებრაელის დამსახურებაა. მე, ჩემი ქვეყნის სახელით მსურს მადლობა გითხრა იმ სიყვარულისთვის, რომელიც თქვენ საქართველოდან წამოიღეთ და ამ მარცვალს უფროხილდებოდით და აღმოაჩენეთ კიდევ.

კიდევ ერთ რამეს გავუსვამ ხაზს. დღეს, რაოდენ სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ისრაელი თავისი არსებობის თითქმის 60 წლის თავზე კვლავ არსებობის საფრთხეს განიცდის და ისრაელის შვილი კვლავ საფრთხეშია, საფრთხე ექმნება მის სახელმწიფოებრიობას და ამ ერის ერთობას საკუთარ სახელმწიფოში. ეს საქართველოს მთავრობამ არაერთხელ დაგმო. მსურს ისრაელის ერთობას გაძლიერება ვუსურვო. პატარა საქართველო ქართველებთან ერთად ნებისმიერი გაჭირვების დროს ისრაელთან ერთად იქნება.

რობერტ სტურუა (შ. რუსთაველის სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრის ხელმძღვანელი):

– მოგესალმებით ყველას. მოვედი, როგორც უბრალო მაყურებელი. მოვედი ჩემი უსაყვარლესი რეჟისორის, საყვარელი დრამატურგის ფილმის სახსრად. ფილმი ძალიან მომეწონა, ბევრი რამ არ ვიცოდა. აქ კამათი ატყდა და მე ეს შესისბი ბევრი ფილმში ვერ მოხვდა. არაჩვეულებრივი განცდა დამეუფლა ამ ფილმის ნახვის შემდეგ. ეს

ფილმი უფრო მეტმა ადამიანმა უნდა ნახოს. მწევენება, რომ ეს ისტორია საქართველოშიც არ იცან ისე, როგორც უნდა იცოდნენ. ეს მნიშვნელოვანი ამბავია. 18 კაცი, თითქოს არაფერი, მაგრამ წინ აღუდგა უსამართლობას, ეს შეიძლება უარესი ფორმით მომავალშიც განმეორდეს. ყველას მადლობას მოგახსენებთ. ეს თქვენი წინაპრები არიან, ამ დიდი ერის შვილები. მადლობა პროდუსერს, რომელმაც უდიდესი საქმე გააკეთა. ეს ერთი და სხვა მრავალი. იცოცხლეთ.

14 თებერვალი. თელ-ავივი. „ბეთი ციონი ამერიკა“. იგი სემემა და საქართველოს საელჩოში მოაწყო. პირველი, შესავალი სიტყვა **დავით ბაზროვმა** თქვა.

ქნესეთის დეპუტატი იცხაკ ზივი: საღამო მშვიდობისა. ყველაფერში ვეთანხმები ელჩს. ეს ხალხი გმირი ხალხია. მათ ნამდვილად სჯეროდათ და უნდოდათ ისრაელში ასვლა, ამ ადამიანებმა დაანახეს სხვებს სიმართლე, როგორ უნდა იცხოვრონ. იმედი მაქვს, რომ ამ ფილმს ბევრი ნახავს, უნდა ნახოს ყველამ, ახალგაზრდები ბევრ რამეს ისწავლიან ფილმის ნახვის შემდეგ. მადლობა ყველას. გაეაგრძელოთ ეს გზა, ვისაც სჯერა წარმატებას მიღწევას.

ისრაელის ყოფილი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში **რიკა ქონი:**



მოგესალმებით ძვირფასო სტუმრებო, ბ-ნო გურამ, ბ-ნო მერაბ, ბ-ნო სოსო, ძალიან მიხარია, რომ დღეს აქ ვარ. იმ თემის შესახებ არის ფილმი, რომელიც ჩემთვის ძალიან ძვირფასია. ამ ხალხის ღვაწლი დიდად თემის წინაშე. მინდა ვთქვა, რომ ეს ნაბიჯი გმირული საქციელია. გურამ, მერაბ, ეს ფილმი საოცარია და ზუსტია. მე ამით ამაყ ვარ. მადლობა, რომ მოგვეცით საშუალება ეს ისტორია გაგვესახეინა.

ფილმის კონსულტანტი, პროფესორი რუბენ ენოხი:

– ამ საღამოს არ მინდოდა საუბარი, მაგრამ ემოციებით ვარ აღვსილი, თავი უკრ შევიყვამ. ყველამ ყურადღებით შეუერთეთ ფილმს.

რამდენიმე წლის წინათ, პირველი დოკუმენტური ფილმი გადაიღეს მერაბ

კოჩიაშვილმა და გურამ ბათიაშვილმა – „დაგვიანებული კადიმი“ ეს იყო ფილმი არიელ შარონზე. ძალიან საინტერესო სამუშაო იყო, მისმა მშობლებმა ერთმანეთი საქართველოში გაიცნეს, რამდენიმე წლის შემდეგ ისრაელში ამოვიდნენ. წლების შემდეგ არიელ შარონი ჩავიდა საქართველოში, მოძებნა ბების საფლავი. პირველად ყველა იმას ამბობდა, ფილმი პრემიერ-მინისტრზე პოლიტიკასთან კავშირშია, და ა.შ. მაგრამ ფილმი არაჩვეულებრივი გამოვიდა.

დღევანდელი ფილმი მეორეა, ეს ფილმი ყველამ უნდა ნახოს და, დავეთანხმები იცხაკ ზივის. ეს ფილმი პირველ რიგში ახალგაზრდებს უნდა ნახონ. მათ უნდა იცოდნენ რა გავიარეთ, ჩვენ, ქართველმა ემიგრანტებმა საბჭოთა პერიოდში ჩვენი სამშობლოს კარიბჭე გაეხსენით. გამალობთ.

(მეექვსე გვერდიდან)

ხლის ზღურბლთან. ჩვენ იშვიათად გვიშვებდნენ ქუჩაში – წერს ხაია – გარშემო კი ისეთი მხიარულებაა. კვლავ ფურიმისთვის ემზადებიან. უკვე მრავალი თვეა მამაჩემი სახლში არ არის. არავინ არ გაემეცადიხებს, არავინ გვივამს მხრებზე, მოსაწყენია შაბათის საღამოს სიმღერის „ლეზა დლის“ და მიზნორ ლედავის“ მარტო სიმღერა.

უცებ მოსახვევში მათი მამა გამოჩნდება – რომელსაც თან მრავალი ადამიანი ახლავს. ასეთ სცენას მხოლოდ იტალიურ ან ქართულ ფილმებში ნახავთ. ვიღაცამ დასწრეს ყველას, გოგობი-სკენ მიიქანის და მიუღი ხმით თვითონ:

– მამათქვენო, რაბი ისრაელი თვისსუფალია! და სახლში კვლავ ისმის ებრაული სიმღერები! და სახლი კვლავ გაივსო მოსწავლეებითა და სტუმრებით, როცა ბიჭები – იოსები და ნისანი გაიხრდებიან (იოსები მათემატიკოსი გახდა, მაგრამ მხოლოდ 27 წელი იცხოვრა, მას ერთი წლის ბიჭი დარჩა), ჩვენს სახლში თავს მოიყრიან არა მხოლოდ ებრაელები, არამედ რუსი და ქართველი მეცნიერები, მწერლები, მუსიკოსები.

„რით იყო ჩვენი სახლი ასეთი მიმზიდველი? – ეკითხება თავის თავს ხაია. – ნახევრადსარდაფში ეცხოვრობდით, სადაც მზიან დღესაც შუქს ანთებდნენ. ალბათ, ამის მიზეზი სულიერება და კეთილგანწყობილი ატმოსფერო იყო. ატმოსფერო, რომელსაც ჯერ ჩვენი მშობლები, ხოლო შემდეგ ჩვენი ძმები დასხივებდნენ.“

1939 წ. ისრაელი უკვე თავისუფალია და თავის მეგობარს, არონ კრისხელს ეზარებოდა ქართველ ებრაელთა უნიკალური ისტორიულ ეთნოგრაფიული მუხურების დარსებაში: აგროვებს მუხურებს, სასანთლეებს, შეკერილ სურფებს, თორის ჯოხებს. მას არ სურს თემის ხარჯზე ცხოვრება. შეისწავლის მეწაღეობას თუ საფეიქრო საქმეს. „როგორც ჩანს ხელოვნობისთვის არ ვარ განწყობილი, უფრო ცოცხალი სიტყვა მიტაცებს“. შ. რუსთაველის სახ. დრამატულ თეატრში კაპელანდინერად მოვეწვეე.

თეატრში თითქმის ორწელიწად ნახევარი იმუშავა. როცა ბიჭები დაიბადნენ რაბი ჩაიწერა: „ჩემი და მალკას მისხანია, შეიძლება ვასწავლოთ ებრაელობის პატივისცემა, გაფრთხილება. არა იმიტომ, რომ თქვენ: „ებრაელი მივლს მსოფლიოში საუკეთესო ერა“, არამედ იმიტომ, რომ იცოდნენ: ებრაელები უბრალოდ თავისი სულიერების ხსოვნით სხვა ერებზე უფრო მაღლა დგას. დიდი სამამულო ომის დროს მან ობოლი ბავშვები და ის ბავშვები, ვისი მამებაც სამამულო ომში იბრძოდნენ, შეკრიბა და ებრაული წიგნების „საავადმყოფო“ გახსნა. იგი ბავშვებს უამბობდა წიგნის ბეჭდვის ისტორიას და იმას, რომ წიგნი

ყოფილი ხეა, სწორედ ხისგან შეიქნა ქალაღი. დაბომბვის დროს, როცა ყველანი მაღალი სართულებიდან რაბის სარდაფში იმალებოდა, რაბი სამორიგოდ სახურავზე ადიოდა.

ასე იყო იმ დღესაც. მაგრამ როცა ის სახურავიდან ჩამოვიდა მისი სახე სიხარულით ბრწყინავდა: მან განაცხადა, რომ ომი დამთავრდა! დღეს საღუბტი იყო და არა დაბომბვები. ყველა იცინოდა და ტირიდა. ის სასიხარულო ამბავი მათ რაბი ისრაელმა ამცნო.

– რაბი, ნუთუ ხელისუფლებას არ შეუძლია უფრო ნორმალურ საცხოვრებელი გამოიფიოთ? – არის ოჯახები, რომლებიც უფრო უარესად ცხოვრობენ.

ომის შემდეგ იგი წერს: „შეუძლებელია იმ ხალხის უბედურების აღწერა, ვისაც სახლები აღარ აქვთ, რომლებსაც დასაბრუნებელი არ აქვთ. ერთადერთი ადგილი, სასწაულად გადარჩენილი ებრაელისთვის – ერეც ისრაელია, მაგრამ რა უნდა ქნა, როცა ერთი ისრაელი, კლავენ, მეორენი კი არ გიმეებენ... გამოსავალი უნდა მოეძებნოს!“ ეს სიტყვები 1945 წ. საქართველოშია დაწერილი.

შემდეგ, 1949 წ. სასიხარულო წამოძახილი: „ისრაელის სახელმწიფო შეიქმნა! და 1952 წელს „ექიმთა საქმე“.

საქართველოში სინაგოგები დაიკეტა. ქუთაისის სინაგოგა შენარჩუნდა. ჩანაწერი: „დანგრევას სალოცავი ქალებმა გადაარჩინეს. ისინი გზაზე დაწვენი და თქვეს „მხოლოდ ჩვენი სიყვადლის შემდეგ“. ოთხმოცი წლის მოხუცს წვერი გაპარეს, მათი ქომაგი კი ცხემში ორთენანხვარი ჩასვეს. ვინ იყო მათი ქომაგი? სწორედ რაბი ისრაელი! ციხიდან გამოსულს სინაგოგები დაკეტული დახვდა, მოხეტობი აღარ მუშაობდნენ. ევრაელები კვლავ, რაღაც უნდა მოეფიქროთო და მოიფიქრა. თვითონ დაიწყო საკუთარ სახლში მზიხის გაკეთება. როგორ ითმენდნენ ამას მებრძობები? მაგრამ მათ შორის იყო ვინმე ისეთი, ვისაც რაბი გასაჭირში არ დახმარებია?!

ხაიას სიმბარი ეს იმბრა: კრემლიდან საუკუნეების წინანდელი ნაძუბი გაჰქინდათ. რაბი ისრაელმა ჩაიწერა: „ჩვენი ხაიას სიმბარი: სტალინი გარდაიცვალა!“ იმავე 1953 წ. იგი წერს, რომ მისი ორი ვაჟი მამის წამოწყებას, რომ სახლში მხოლოდ ებრაული ენაზე ესაუბრათ, დიდი ენთუზიანით არ შეხვდნენ, ხოლო შემდეგ იდეა მოეწონათ... 15-16 წლისანები უკვე ოთხ ენას ფლობდნენ: ქართულს, რუსულს, სომხურს და ებრაულს! გაიხსნა სინაგოგა, რომლის ერთ კედელზე რაბის ვაჟების მიერ ილუსტრირებული „ებრაული კალენდარი“ კიდა. ხაიამ თავის რეფერატში (მან პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრა) განსაკუთრებით ყურადღება ბიბლიურ

გამოთქმებზე გაამახვილა, რომელიც მსოფლიოს ენებშია შესული. იგი თითქოს ერთი მიზნისკენ მიდიოდა, დაემტკიცებინა, რომ ებრაული ენა ცოცხალი ენაა და არა – მკვდარი. რევა მუსიკის წაშვანა პედაგოგი გახდა, საქართველოს დამსახურებული პედაგოგის სახელიც მოიპოვა. რაბი შეილებით კმაყოფილი იყო.

ისრაელ ბაბალიაშვილი ჩანაწერებს 50-იან წლებამდე აწარმოებდა. იგი 1971 წ. გარდაიცვალა.

იმავე წელს გამოცა ნისანის მონოგრაფია. „XVII-XIX ს-ის საქართველოში ებრაული წარწერები“. ერთი წლის შემდეგ ნისანმა დისერტაცია დაიცვა. ქართულად თარგმნა „იერემიას გოდებანი“, „ეკლესიასტე“, „იონას წიგნი“ თარგმნა ალექსანდრე პუშკის ლექსები, აგნონის პროზა, წერდა სტატიებს ებრაული ისტორიის და ლიტერატურის თაობაზე, ეპიგრაფებს ქართული ენციკლოპედიისათვის. ესეებს შუასაუკუნეების ესპანეთის, ოქროს საუკუნის პოეტებზე, უნივერსიტეტში ასწავლიდა ებრაულ ენას, სინაგოგებში კი მამის შემდეგ 1971 წ-დან სიცოცხლის ბოლომდე 1986 წ-მდე. – უკრავდა შოფარზე რომ ჰამანისა და ქიუფრის დღეებში. ნისან ბაბალიაშვილმა თავი და საქართველოს ებრაელობა საზღვარგარეთ ასახელა. „თქვენთვის საინტერესო იქნება იცნობდეთ ჩემს ძმას – ნისანს – ცნობილ სემიტოლოგს“ – წერდა ხაია. ნისანი – არაორდინარული პიროვნება საქართველოში, ამიტომ ხაიამ ქართული ხელგამლოლობით გამოიშვანა მთელი მისი ნაშრომები და ყველაფერი მის შესახებ, მათ შორის სტატიები ქართულ ენაზე. მათი წაყითხვა ვერ მოვახებრე, მაგრამ გავიგე, რომ ნისანის სახელი ცნობილი და საყვარელია.

ნისანის სტატიები ჟურნალ ლემონინე (ჩვენი ენა) და „ჰე ავარ“ (წარსული). მე თვითონ მოვიძიე. თავის დროზე ამ სტატიებმა დიდი ინტერესი გამოიწვია ისრაელულ მეცნიერებს შორის: როცა ბორის გაპონოვის (შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელი) დღის მოწვევით 1974 წ. ისრაელში ჩამოვიდა, მიიწვიეს უნივერსიტეტში სპეციალისტების წინაშე სიტყვით გამოსასვლელად, ასევე მიიწვიეს ისრაელის რადიოშიც.

პატარაობიდანვე შეისწავლა ებრაული ენა მამის ისრაელ ბაბალიაშვილის სახლში. ახალგაზრდობაში ოცნებობდა სხვა აღმოსავლური ენების შესწავლას, სურდა ეთარგმნა, შუასაუკუნეების ესპანური პოეზია, სურდა ქართველი პუბლიკისტების გაეცნო თანამედროვე ბიბლიური თხზულებები. მან წარმატებას ყველა სფეროში მიღწავა.

მთავარი მისი წვლილი იყო ქართველი ებრაელობის სულიერი თვითმყოფადობისა და კულტურის შესწავლა.

ნისან ბაბალიაშვილი გიორგი წერეთლის მოსწავლე გახლდათ. სწორედ მას ანდო გიორგი წერეთელმა მის მიერ აღმოჩენილი ძველ ებრაული ხუთწიგნიულის თბილისური ხელნაწერის შესწავლა. ფართო რეზონანსი გამოიწვია მისმა შრომამაც, რომელიც მიეძღვნა ეპიგრაფიული წარწერების კვლევას ებრაულ საფლავებზე და ძველი სინაგოგის კვლევებზე. ახალგაზრდა მეცნიერმა ნისან ბაბალიაშვილმა აღმოაჩინა და გამოიკვლია ასზე მეტი ასეთი წარწერა.

საქართველოს აღმოსავლეთმცოდნეობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის პროფესორი გიორგი ანთელავა, ნისანის ექსპედიციის შესახებ ყველაფერს, რომელიც მონაწილეობას თავდაც იღებდა, და მასთან ერთად მონაწილეობდა შურა ციხეულეკსი – დღეს თითქმის დაიწყებული, არაჩვეულებრივი პოეტი, მთარგმნელი და ლიტერატურათმცოდნე, ბულატი ოუჯავას მეგობარი. ექსპედიცია მიმდინარეობდა საქართველოში, დალესტანში, ყირიმში. გ. ანთელავა ყველაფერი: ნისანმა თითქმის ყველა ებრაული საფლავი მონახულა, გადაიწერა ყველა ეპიგრაფი“. შემდეგ იყო არაჩვეულებრივად დაცული დისერტაცია, რომელმაც მაღალი შეფასება მიიღო მრავალი ქვეყნის ავტორიტეტული სემიტოლოგებისგან. მან აგრეთვე გაიხსენა ნისანის კეთილშობილება, რომელიც მუდამ სხვებზე ზრუნავდა და არ ფიქრობდა საკუთარ ჯანმრთელობაზე. ცოტამ თუ იცის, როგორ იბრძოდა ბორის გაპონოვის საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად. მისი ტანჯვის შესამსუბუქებლად“. მხოლოდ მას შემდეგ, რაც პროფესორმა ანთელავამ მოგვითხრო, ნათელი გახდა, ისრაელში მოსაწვევი ნისანს არა სხვამ, არამედ სწორედ ბორის გაპონოვის ღვაწლამ გამოუგზავნა. „მაღლა და ისარელი ბაბალიაშვილების ყველა შვილი – დაამატა გ. ანთელავამ, რომელიც კარგად იცნობდა მთელ ოჯახს – მრავალმხრივ განვითარებული ხალხია, ისინი ერთ ინტელექტუალურ მილიანობას წარმოადგენენ.“

აი, ასე გადადის ყველაფერი მამიდან შვილზე, ამას უნდა მივეც და გაიგებ, ასწლეულების განმავლობაში როგორ შეინარჩუნეს ქართველმა ებრაელებმა ჩვენი ენა, ისტორიული ხსოვნა და ტრადიციები.

მამაჩვენმა ისრაელზე ოცნებით – ამბობდნენ მისი ქალიშვილები ხაია და რევა – თბილისში „პატარა იერუსალიმი შექმნა“, ჩვენ კი ნამდვილ იერუსალიმში ავედით.

შუალაითი ზალითი
გაზეთი „EC“ „ნოვოსტი ნედელის“
დამატება №3, 24.01.07
რედაქციას მიაწოდა შ. თეთრაშვილმა

დაამფუძნებელი და
გამომცემელი:
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
თბილისი, ლეონიძის 11^ბ, ვახტანგ VI ქ. №30
ტელეფონები: 99.90.96, 77.20.57

რეგისტრირებულია
ქ. თბილისის მთავრის
რაიონის სასამართლოს
შიპრ.
რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი

Jewish Agency for Israel